ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 11 აპრილი, 2022 | №71 (8849) | ფასი: 80 თეთრი

## ელენე ხოშტარია: „ბუჩაში ვიზიტი იქნება პარტნიორებისთვის ჩვენი ქვეყნის პოზიციის ჩვენება“



გვ.4

# „რუსეთი ჩვენთვის მუდმივი საფრთხეა, აქ სამხედრო ბაზები აქვს“

კახა ქემოკლიძე: „სამი კვირის განმავლობაში უკრაინაში გადამწყვეტი ბრძოლა იქნება“





გვ.2

„ხელისუფლება თუ ყველაფერს ნაციონალებს აბრალებ, შენ რაღას აკეთებ?! ქუდი უნდა დაიხურო და წახვიდე!“

გიგა ბუკია: „რუსეთს მოუწევს ფასის გადახდა იმ საშინელებაზე, რასაც უკრაინაში აკეთებს“



გვ.3

## „ოცნებას“ ახასიათებს ბუტიაობა როგორც საშინაო, ისე საგარეო პარტნიორებთან“



გვ.2

## სალომე ზურაბიშვილი: „საქართველო ტერიტორიების ომით დაბრუნებას არასდროს შეეცდება“

## გერმანიამ საქართველოს სააკაშვილის დროინდელი ციხის მაღალჩინოსანი ვლადიმერ კაპანაძე გადასცა

გვ.5



პეტრე მამრაძე: „რუსები ხისტად აკონტროლებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს. ორივეგან კრემლის პირდაპირი მმართველობაა“

## „პუტინმა ჩვენი ტერიტორიის მიერთებას შეიძლება ხელი მოაწეროს“

გვ.4





## პრემიერ-მინისტრმა მარნეულის სოფელ ქუთლიარში ახალი სკოლა დაათვალიერა

პრემიერი ბოლნისში იოსებ ქობულაძის მარანშიც იმყოფებოდა გვ.4

**2** ირაკლი ქადაგიშვილი: „უკრაინაში ჩასვლა „ქართული ოცნებისთვის“ პრობლემას არ წარმოადგენს“

**6** 14 წლის გოგო, რომელიც 5-მა ოკუპანტმა გააუპატიურა, ახლა ორსულად არის

**5** ავტობანზე მანქანა, რომელშიც ბავშვები დედასთან ერთად ისხდნენ, სანიაღვრე არხში ჩავარდა

**6** ბორის ჯონსონი კიევში ჩავიდა

1993230720223

# „რუსეთი ჩვენთვის მუდმივი საფრთხეა, აქ სამხედრო ბაზები აქვს“

## კახა ქემოკლიძე: „სამი კვირის განმავლობაში უკრაინაში გადამწყვეტი ბრძოლა იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი კახა ქემოკლიძე პასუხობს.



***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? მსოფლიო პოლიტიკა კვლავ უკრაინის გარშემო ტრიალებს. გუშინ კიევში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი ჩავიდა. ჩვენს ხელისუფლებას უკვე მერამდენედ მოუწოდებენ, რომ ჩავიდეს უკრაინაში და ღია მხარდაჭერა გამოხატოს, თუმცა ამაოდ. პარლამენტის თავმჯდომარემ ავადმყოფობა მოიმიზეზაო. რა ხდება? არავინ ჩავა ხელისუფლებიდან უკრაინაში?***

– მე ვფიქრობ, პოლიტიკური საბავშვო ბაღის მოწმეები ვართ ყველანი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იმის ნაცვლად, რომ ამ გეოპოლიტიკურ კრიზისებში საქართველო ეძებდეს მოკავშირეს, ეძებდეს პარტნიორებს, რომლებიც, გარკვეულწილად, ჩვენ საშუალებას მოგვცემდნენ, რომ ეს გეოპოლიტიკური ფანჯარა გამოგვეყენებინა, ეს ადამიანები გაბუტვის რეჟიმში არიან გადასული და თანაც ვისთან? სტრატეგიულ მოკავშირესთან, რომელიც ებრძვის შენს პირდაპირ მტერს, რომელსაც შენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული, იმის ნაცვლად, რომ ეს ადამიანები ეხმარებოდნენ უკრაინელებს, იმისდა მიუხედავად, რაც არ უნდა მიკრო თუ მაკრო დონეზე შეცდომები ჰქონდეთ დაშვებული მათ ჩვენთან ურთიერთობის ნაწილში, სახელმწიფოებრივი აზროვნება სწორედაც არის ის, ეს ყველაფერი გადალახო და შენს სახელმწიფოს რა ინტერესიც უდგას, იმას მოემსახურო. აი, ამას არ აკეთებს დღევანდელი ხელისუფალი და აბსოლუტურად გაუგონარი პოზიცია აქვს. დღეს უკრაინა არის ლიდერი და ლიდერობის ფლაგმანი მარტო ევროპაში კი არა, მთელ მსოფლიოში!

***– ბორის ჯონსონის ვიზიტზე რას იტყვით?***

– ვაკვირდებოდი ბორის ჯონსონის ვიზიტს, რომელიც ძალიან ექსტრაორდინარულ ვითარებაში შედგა და ამ ადამიანმა ძალიან სწორად აღნიშნა, რომ დღეს უკრაინელები იბრძვიან არა მარტო ამ პოსტსაბჭოთა სივრცის დასაცავად, სადაც ჩვენც მოვიაზრებით, არამედ მთლიანად ევროპული და მსოფლიო უსაფრთხოებისთვის, იმიტომ, რომ ამ ომით რუსეთმა შეარყია უსაფრთხოების გლობალური არქიტექტურა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაყოფის შემდეგ მივიღეთ. აი, ამ ყველაფერს ვერ აცნობიერებს საქართველოს ხელისუფლება.

***– უბრალოდ ვერ აცნობიერებენ თუ უკვე ჩამოყალიბებულია მათი პოზიცია, რომელი მხარე აირჩიეს?***

– მე მაინც არ მინდა იმის დაჯერება, რომ ეს მათი საბოლოო და ჩამოყალიბებული პოზიციაა, თუმცა ის ქმედებები, რომლებსაც ეს ადამიანები ჩადიან, ის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებსაც ეს ხალხი დგამს, უკვე მაფიქრებინებს იმას, რომ ეს არის შეგნებულად გაკეთებული, ჩამოყალიბებული, დამაზიანებელი პოზიცია, რომ, გარკვეულწილად, შესაძლოა, საქართველო მართლაც აღმოჩნდეს ნაპირის ბნელ მხარეს.

***– ბატონო კახა, მაშინ, რით აიხსნება ხელისუფლების პოზიცია საერთაშორისო ასპარეზზე? აბსოლუტურად ყველა კენჭისყრაში, რომლებიც კი გაიმართა, საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ მისცა ხმა. ყველა სანქციას მხარი დაუჭირეს რუსეთის წინააღმდეგ. ამას რით ხსნით?***

– კარგი შენიშვნაა, მაგრამ ამ კარგ შენიშვნაზეც ასევე ძალიან მარტივი პასუხი არსებობს. თუ ჩავუღრმავდებით, რაშიც მივიღეთ მონაწილეობა მხარდაჭერის თვალსაზრისით, მანდ, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა, რომ მხარი არ დაგვეჭირა.

***– რატომ? ხომ იყვნენ ქვეყნები, რომლებმაც თავი შეიკავეს ან სულაც მხარი არ დაუჭირეს სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ.***

– კი, მაგრამ ეს ქვეყნები ჩამოყალიბებულად სხვაგან არიან. ამ ქვეყნებს არა აქვთ ამბიცია. გეოპოლიტიკური კონტექსტი რომ ავიღოთ, ამ ქვეყნებს სხვა ამბიცია არა აქვთ, გარდა იმისა, რომ დადგნენ სადღაც ნეიტრალურ ზონაში და მიიღონ მხოლოდ ის სარგებელი, რომელსაც იღებენ ისინი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან. სამწუხაროდ, ჩვენ იმის ფუფუნება არა გვაქვს რომ შუა-შუა ვიაროთ მსგავსი ტიპის კრიზისებისგან. სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურად იმდენად რთულ ზონაშია და იმდენად გეოპოლიტიკური ტყვეები ვართ აი, ამ გეოგრაფიის, რომ შეუძლებელია, შუაში დავდგეთ. შუაში რომ დადგე, ბუნებრივად ნიშნავს, რომ არ დგახარ სინათლის მხარეს.

***– მეორე მხრივ, ვინც ხელისუფლების პოზიციას ასე თუ ისე ამართლებს, ისმის ამდაგვარი შეფასებებიც: ასე დაჟინებით რატომ გვამუნათებს უკრაინა? ჯარი ჩვენ არა გვყავს, რომ სათანადოდ დავეხმაროთ, იარაღი ჩვენ არ გვაქვს. ქართველი მებრძოლები იბრძვიან უკრაინაში და, სამწუხაროდ, იღუპებიან კიდეც. რას ითხოვენ ჩვენგან, რა შეგვიძლია?***

– პირველ რიგში, ის ქართველები, რომლებიც იქ იბრძვიან, იბრძვიან ინდივიდუალური გადაწყვეტილებების დონეზე. აქ სახელმწიფო არაფერ შუაშია.

***– რა შეუძლია სახელმწიფოს და არ აკეთებს?***

– სახელმწიფომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შექმნას ისეთი საბაბი, რომელიც, გარკვეულწილად, რუსეთს მისცემს ჩვენი ამ ომში პირდაპირპროპორციულად ჩართვის საშუალებას. ხაზს ვუსვამ, როდესაც ხელისუფლება ამაზე აპელირებს, ის სიმართლეს ამბობს, მაგრამ ქმედებით ვერ აკეთებს იმას, რომ ეს პრორუსული იარლიყი ჩამოიცილოს. ხელისუფლებას რა უნდა გაეკეთებინა?! პოლიტიკურად მაქსიმალურად დიდი მხარდაჭერა უნდა გამოეცხადებინა უკრაინისთვის, უკრაინის ხელისუფლებასთან ყოველდღიური კომუნიკაცია უნდა ყოფილიყო, თუნდაც მცირე რაოდენობის ლტოლვილები მიგვეღო და ამისთვის პოლიტიკური სახე მიგვეცა, ის, რაც გააკეთა მოლდოვამ. რომელიც ჩვენზე ბევრად უფრო მოწყვლადია რუსული გავლენებით.

***– ჩვენთანაც არიან უკრაინელი ლტოლვილები, არა?***

– ჩვენთან ადამიანები არიან, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ, მაგრამ მათ ოფიციალური ლტოლვილის სტატუსი არა აქვთ. ხელისუფლებას შეეძლო, ამისთვის პოლიტიკური კლიშე მიეცა და პოლიტიკურად გაეყიდა საერთაშორისო ასპარეზზე, რომ, მართალია, ჩვენ უკრაინას ვერ ვეხმარებით იარაღითა და ტყვია-წამლით, მაგრამ ამის ნაცვლად ყველაფერს ვაკეთებთ.

***– ბატონო კახა, უკრაინის ხელისუფლებასთან ურთიერთობების გაფუჭება და გაბუტვის პოზა ჩვენი ხელისუფლების მხრიდან რამდენად უნდა დავუკავშიროთ ნაციონალურ მოძრაობას, თუნდაც ეჭვიანობას ჩვენი ხელისუფლების მხრიდან, რადგან დღეს ნაციონალები უფრო ახლოს არიან ზელენსკისთან და უკრაინის ხელისუფლებასთან, ვიდრე „ქართული ოცნება“. რამდენად***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# სალომე ზურაბიშვილი: „საქართველო ტერიტორიების ომით დაბრუნებას არასდროს შეეცდება“



– საქართველო ომით ტერიტორიების დაბრუნებას არც ცდილობს და არც ეცდება მომავალში. ეს ჩვენი ურყევი გადაწყვეტილებაა. ყველანი ვხედავთ, ომით მოპოვებული ტერიტორიები არაფრის მომტანია, არც განვითარების, არც თვითდამკვიდრებისა და არც იდენტობის დაცვის, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ერთიანობა ვერც დაძალებით, ვერც სხვისი დამონებით ვერ მოიპოვება.

– ერთი რამ უნდა გვახსოვდეს 9 აპრილის გამოცდილებიდან: ჩვენ გვასუსტებს მხოლოდ შიდა დაპირისპირება; უთანხმოება კი მტერს უხსნის გზას, იქნება ეს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. ერთ მუშტად შეკრული საზოგადოება არ მარცხდება!

ეს ეხება ასევე ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და რომლებთანაც, ბოლოს და ბოლოს, საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, რომლის გარეშეც საერთო მომავალი არ არსებობს.

მინდა აქედან, საქართველოს პრეზიდენტის სასახლიდან, მოგმართოთ თქვენ, მოგმართოთ იმ დროს, როცა შეიძლება ვიღაც ომის საფრთხით ცდილობდეს მანიპულირებასა და ცრუ შიშების გაღვივებას.

უნდა იცოდეთ, და ამ სიტყვებზე მე ვაგებ პასუხს, როგორც ამ ქვეყნის არჩეული პრეზიდენტი, საქართველოს მიერ დადებულ პირობაზე, რამეთუ კავკასიამ არ იცის საკუთარი სიტყვის თუ დადებული პირობის გატეხა. საქართველო ომით ტერიტორიების დაბრუნებას არც ცდილობს და არც ეცდება მომავალში, ეს ჩვენი ურყევი გადაწყვეტილებაა. ყველანი ხომ ვხედავთ, რომ ომით მოპოვებული ტერიტორიები არაფრის მომტანია: არც განვითარების, არც თვითდამკვიდრებისა და არც იდენტობის დაცვის.

დღეს საქართველოს პერსპექტივა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა – აჩქარებული ევროპული ინტეგრაციის გზაა. გვინდა ხელი გამოგიწოდოთ და ამ გზაზე – დემოკრატიის, თვითდამკვიდრებისა და თავისუფლების გზაზე, შემოგთავაზოთ, რომ ერთად ვიაროთ.

ერთიანობა ვერც დაძალებით, ვერც სხვისი დამონებით მოიპოვება. ეს გზა განვლილი გვაქვს. მაშასადამე მრავალფეროვნება, მრავალაზროვნება, მრავალეთნიკურობა, ასევე მრავალპარტიულობა ამ ერთიანობის განუყოფელი ნაწილია.

ეს თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ დათმობაც, სხვისი აზრის გათვალისწინებაც თუ არა, სულ ცოტა გაგება მაინც და ქვეყნის ინტერესების ჩვენს პირად, პარტიულ თუ სხვა ინტერესებზე მაღლა დაყენება! – განაცხადა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა.

# ქობულეთის ვიცემერმა სამორინეში 28.000-დოლარიანი მანქანა მოიგო



ქობულეთის ვიცემერმა სამორინეში 28.000-დოლარიანი მანქანა მოიგო.

ფაქტს დავით ვერულიძე „პირველებთან“ ადასტურებს, თუმცა ირწმუნება, რომ პრიზი მამისაა.

„ქართული ოცნების“ მაღალჩინოსანმა ძვირადღირებული ავტომობილის მოგება 2022 წლის ქონებრივ დეკლარაციაშიც ასახა.

– მაშინ, როცა მიმდინარეობდა ევროპის ჩემპიონატი, გასართობად გაკეთდა ფსონი ტოტალიზატორში, ტექნიკურად დავეხმარე მაშინ მამას, ეს იყო და ეს და ძალიან შემთხვევით მოცემულ ბილეთზე გათამაშდა ავტომობილი, რომელიც მოგვიწია ჩვენ. გაიყიდა ავტომობილი და ძალიან ღიად და კანონიერად დადეკლარირდა ეგ ამბავი, – ამბობს დავით ვერულიძე.

ოპოზიციაში ამბობენ, რომ დაუშვებელია საჯარო მოხელეების მიერ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა.

# ირაკლი ქადაგიშვილი: „უკრაინაში ჩასვლა „ქართული ოცნებისთვის“ პრობლემას არ წარმოადგენს“



– მთელი რიგი ბრალდებებია, რომლებზეც პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არის მომაკვდინებელი ცოდვა, რა ბრალდებებიც საქართველოს წაუყენეს და ბუნებაშიც არ არსებობს.

ასე ეხმაურება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ქადაგიშვილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პასუხს უკრაინის უმაღლესი რადის თავმჯდომარის მიწვევასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება უკრაინაში ჩასვლასა და სოლიდარობის გამოხატვას, როგორც ქადაგიშვილმა ჟურნალისტებს დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა, ეს არც „ქართული ოცნებისთვის“ წარმოადგენს პრობლემას“.

– ჩვენი დამოკიდებულება და მხარდაჭერა უკრაინის მიმართ არის ცალსახა და ყველა ის საერთაშორისო პლატფორმა, სადაც რეალურად და საქმიანად შეიძლება გამოხატო შენი უარყოფითი დამოკიდებულება ამ ომთან დაკავშირებით და უკრაინის მიმართ მხარდაჭერა, საქართველო ამას ძალიან თანმიმდევრულად ახორციელებს და ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფო ვართ ჩვენ ამ მიმართულებით.

რაც შეეხება გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციებს, ეს კონკრეტული სიტუაციები ჩვენ უნდა განვიხილოთ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ჭრილშიც იმიტომ, რომ საქართველო, სამწუხაროდ, ყოვლად დაუსაბუთებლად დადანაშაულებულ იქნა მთელ რიგ შემთხვევებში, ისეთ საკითხებში, რაც საერთოდ ბუნებაშიც კი არ არსებობს.

მიუხედავად უდიდესი სოლიდარობისა, ყველა ქვეყანას გააჩნია გარკვეული ეტიკეტი, როგორ მოქმედებენ ქვეყნის პირველი პირები ასეთ შემთხვევაში.

რაც შეეხება უკრაინაში ჩასვლას, სოლიდარობის გამოხატვას, ეს არც „ქართული ოცნებისთვის“ არ წარმოადგენს პრობლემას და ამას ნურავინ დაგვაყვედრის. ეს პრობლემაც ჩვენ წინაშე არ დგას, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

ამასთან, ქადაგიშვილმა აღნიშნა, რომ ის ეთანხმება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას, რომ უკრაინასა და საქართველოს შორის ბზარი რუსეთს ახეირებს.

– გეთანხმებით, რომ ასეთი მდგომარეობა არის მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებში. ამიტომ გეუბნებით, რომ მთელი რიგი საკითხებია, რომელიც წარმოიშვა აბსოლუტურად სწორ ადგილზე, მთელი რიგი ბრალდებებია, რომლებზეც პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არის მომაკვდინებელი ცოდვა, რა ბრალდებებიც საქართველოს წაუყენეს და ბუნებაშიც არ არსებობს.

ეს ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმა ყველაზე კარგად იციან და თავიანთი პოზიციაც გამოხატეს ამაზე, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს ჰქონდა შეხვედრა ბრიუსელში უკრაინელ კოლეგასთან და „გარკვეული კომუნიკაციის განახლებისა და გააქტიურების თემა იქ დგას“.

– მე იმედი მაქვს, რომ ეს პრობლემები, რომლებიც სწორ ადგილზეა წარმოქმნილი და არც ერთი მხარის ინტერესში არ შედის, რა თქმა უნდა, აღმოფხვრილი იქნება.

ხშირ შემთხვევაში, ჩვენთან შიდა პოლიტიკური მიზნებისთვის აქტიურად ხდება ამ საკითხებთან დაკავშირებით სპეკულირება, რაც არ არის სასურველი, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებას“ ახასიათებს ბუტიაობა როგორც საშინაო, ისე საგარეო პარტნიორებთან“

## გიგა ბუკია: „რუსეთს მოუწევს ფასის გადახდა იმ საშინელებაზე, რასაც უკრაინაში აკეთებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**რატომ ვერ ხდება ერთსულოვნების მიღწევა საქართველოში? როდის იყო ერთიანი საზოგადოება საქართველოს უახლეს ისტორიაში? რატომ გაჩნდა გაუგებრობა საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებს შორის? აგებენ თუ არა პასუხს რუსეთის ხელმძღვანელები სამხედრო დანაშაულებისათვის? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა საქართველოს კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს გიგა ბუკიას.**

***— საქართველოს პრემიერმა 9 აპრილის თაობაზე გააკეთა განცხადება. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, „ჩვენი შემდგომი წინსვლა კვლავაც 9 აპრილის იდეალების გარშემო ერთობას უნდა დაეფუძნოს“. შესაძლებელია პოლარიზებულ საზოგადოებაში ერთიანობა?***

— 1989 წლის 9 აპრილს, მანამდე და შემდგომში, საერთოდ იმ პერიოდში, ჩვენ, მთელი საზოგადოება, საოცრად ერთიანი ვიყავით. სრული თანხმობა და სიყვარული გვაერთიანებდა. ეს იგრძნობოდა მთელ საქართველოში. მე მაშინ სოხუმში ვსწავლობდი. სოხუმშიც, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, აშკარად იგრძნობოდა ერთსულოვნება და ერთმანეთის გვერდში დგომა. ეროვნული მოძრაობის წევრები სოხუმიდან თბილისში ჩამოვედით. ყველგან ერთი და იგივე განწყობა და ერთიანობა სუფევდა. ძალიან მენატრება ის დრო და მაშინდელი ერთიანობა, ერთმანეთის სიყვარული და თანადგომა. ის საუკეთესო წლები იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში. დღეს ერთიანობა არ არის და არც არავინ ცდილობს ამის მიღწევას.

***— იყო იმედი, რომ უკრაინის ომი მეტნაკლებად შეკრავდა საქართველოს საზოგადოებას. საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა უკრაინის გვერდით დგას და მას სრულ სოლიდარობას უცხადებს. იმავდროულად, ძალიან გააქტიურდნენ ჯგუფები, რომლებიც ეწევიან ანტიუკრაინულ და ზოგადად ანტიდასავლურ, პრორუსულ პროპაგანდას. ხდება აზრების პოლარიზაცია.***

— ბოლო 30 წლის მოვლენებმა, აგრეთვე 2-წლიანმა კოვიდეპოპეამ თავისი დაღი დაასვა ქვეყანას. 90-იანი წლების ერთიანობა ადრევე დამთავრდა. პანდემიამ კიდევ უფრო გათიშა და გაათითოკაცა სხვადასხვა სეგმენტი. ანტიუკრაინულ და ანტიდასავლურ გამოსვლებში პოლიტიკური ძალები და მათი გარემოცვა არიან შემჩნეული. ზოგს უნდა, ამ თემებით დამკვიდრდეს, გაძლიერდეს ან შემოვიდეს პოლიტიკაში. არსებობენ პირები და ჯგუფები, რომლებსაც უნდათ პრორუსული ნიშის დაკავება. ამ კატეგორიის ხალხში არის კონკურენცია. სწორედ ეს ადამიანები აქტიურობენ. ჯანსაღ დებატებსა და სხვადასხვა აზრის მოსმენას საერთოდ გადაგვაჩვიეს. ერთი ტელევიზია ერთ პარტიას ემსახურება, მეორე — მეორეს. ეს ქმნის პოლარიზაციას. სოციალურ ქსელებშიც პარტიული აქტივისტები გამოხატავენ თავიანთი პარტიების პოზიციებს და იქმნება აგრესიული გარემო. ახლა რეგიონში ვიმყოფები. არც თბილისში, არც რომელიმე რეგიონში ბოლო დროს ხალხს შორის არ შევსწრებივარ პოლარიზაციასა და დაპირისპირებას უკრაინის საკითხზე. აბსოლუტურად ყველა ძალიან განიცდის იმას, რასაც რუსეთი აკეთებს უკრაინაში და ყველა უკრაინისადმი სოლიდარულია. პოლარულ გარემოს ქმნიან პოლიტიკური ინტერესის მქონე ჯგუფები.

***— „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას ყოველთვის ამხელდით ხოლმე ხელოვნურ ორპოლუსიანობასა და პოლარიზაციაში. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა?***

— სამწუხაროდ, არაფერი შეცვლილა. ქოცები და ნაცები ისევ ურთიერთგაძლიერების მიმართულებას მიჰყვებიან. ისინი ისევ ერთმანეთს აძლიერებენ. ასე ცდილობენ ბერკეტების შენარჩუნებას. ამ მომენტში „ოცნებას“ ხელისუფლებაში დარჩენა უნდა, ნაცმოს — მთავარ ოპოზიციად ყოფნა. ისინი ერთ პატარა შანსს არ უშვებენ ხელიდან, რომ ერთმანეთი არ წარმოაჩინონ, იქნება ეს კამათი, კინკლაობა თუ ურთიერთბრალდება. ერთმანეთს წარბის მდგომარეობასაც უკონტროლებენ, ჩრდილოეთით გადაიხრება თუ დასავლეთით. ორიენტაცია ამაზე არ არის დამოკიდებული. საგარეო კურსს განსაზღვრავს ბევრი რამ, მათ შორის, ცხოვრების წესი. რა დროს ეგ არის! მახსენდება 2008 წელი.



***— მაშინ ოპოზიციამ ხელისუფლების კრიტიკას თავი დაანებეთ და მორატორიუმი გამოაცხადეთ. ამაზე მიანიშნებთ?***

— ჩვენ მარტო მორატორიუმი კი არ გამოვაცხადეთ, ომშიც მივდიოდით. ჩემი ვაჟი მაშინ 17 წლის იყო. მე მასთან ერთად მივაკითხე სამხედრო კომისარიატს, რათა გვებრძოლა. ახლა, როცა საშინელი ომია უკრაინაში, ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც შეეძლოთ, თავი შეეკავებინათ კინკლაობისაგან.

***— საქართველოს ხელისუფლებას უკრაინის ხელისუფლებასთანაც არ აქვს ურთიერთობა დალაგებული.***

— ეს ბუტიაობის ბრალია. „ოცნების“ ხელისუფლებას ახასიათებს ბუტიაობა როგორც საგარეო, ისე საშინაო პარტნიორებთან და მოწინააღმდეგეებთან. ეს ცუდი თვისებაა. მას ნეგატიური შედეგი მოაქვს. გაბუტვა ბავშვის თვისებაა. არ შეიძლება, ეს ახასიათებდეს ადამიანებს, რომლებიც ქვეყანას მართავენ. გაბუტვა იწვევს მეტ გაურკვევლობას. ხელისუფლება იმიტომ ხარ, რომ ყველას დაელაპარაკო, თუ რამე გასარკვევია, გაარკვიო. უკრაინაში ომის ცხელი ფაზაა. ესეც ხომ უნდა გაითვალისწინო!

***— საბოლოოდ, საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობას არაფერი ემუქრება?***

— რასაკვირველია, არაფერი. საქართველო და უკრაინა აქამდეც მეგობრები ვიყავით და მომავალშიც მეგობრებად დავრჩებით. საქართველოს ხელისუფლებამ ბუტიაობას უნდა დაანებოს თავი. ბევრი ადამიანი მეუბნება, რომ უკრაინაზე ინფორმაციის გარდა, აღარაფრის ყურება და მოსმენა აღარ უნდა. ეს განწყობა, ალბათ, არჩევნებზეც აისახება.

***— რუსეთის სამხედრო დანაშაულებსა და ფაშიზმზე მსოფლიო ლაპარაკობს. დამნაშავეების დასჯას მოელით?***

— ომი უკრაინაში ძალიან მძიმე ფორმით მიმდინარეობს. საგანგაშოა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი. რუსეთი ამას თავისი ინტერესებისა და ამბიციების გამო აკეთებს. ვფიქრობ, რომ რუსეთს მოუწევს ფასის გადახდა იმ საშინელებაზე, რასაც უკრაინაში აკეთებს. ომებში საზარელი შემთხვევები ყოფილა. მათ შესახებ ინფორმაცია ხშირად გვიან ვრცელდებოდა. ახლა ტექნოლოგიების ეპოქაა და ყველაფერს მალე ვიგებთ. რატომ ეგონა პუტინს, რომ ომის დანაშაულები დაიმალებოდა, გაუგებარია.

# „რუსეთი ჩვენთვის მუდმივი საფრთხეა, აქ სამხედრო ბაზები აქვს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***გააფუჭა ნაციონალურმა მოძრაობამ ურთიერთობა ამ ორ ხელისუფლებას შორის?***

— ხელისუფლების ეს არგუმენტი, რომ საქართველო-უკრაინის ურთიერთობების გაფუჭება თითქოსდა ნაციონალური მოძრაობის ბრალია, ეგ არის სწორედაც იმის ხაზგასმა, თუ რა დონეზე, ერთი მხრივ, არაკომპეტენტურია ხელისუფლება და, მეორე მხრივ, უბრალოდ, არაეფექტური! თქვენ წარმოიდგინეთ, ქვეყნის ხელისუფლება ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას აბრალებდეს ურთიერთობის გაფუჭებას, ხელისუფალი, რომელსაც აქვს საელჩო, რომელსაც აქვს პირდაპირი კავშირი, აქვს ძალიან დიდი ფინანსური ინსტრუმენტი, აქვს სამთავრობო არხები, ძალიან ბევრი რესურსი იმისა, რომ ეს ურთიერთობა დაალაგო. ხშირად ახსენებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, რომ აი ვიღაც ყოფილი თანამდებობის პირები დანიშნეს უკრაინის ხელისუფლებაში.

***— რეალურად ხომ მართლა დანიშნეს?***

— უკაცრავად, მაგრამ ეს ადამიანები რომ დანიშნეს და საზღვარგარეთ რომ ოპერირებენ, ეს ვისი ბრალია?! ვინ არის ხელისუფლებაში, ვინ არის პროკურატურაში?! სწორედ მათი ვალი იყო, ისეთი სასამართლო სისტემა შეექმნათ, ისეთი პროკურატურა, რომლის გადაწყვეტილებების უკან ერთი კითხვის ნიშანიც კი არ იარსებებდა. გვქონოდა გამართული სისტემები და აბა მერე თუ დანიშნავდნენ აქ საქმეაღძრულ პირებს იქ მაღალ თანამდებობებზე. ამას დაუშვებდა ვინმე?!

***— იმის თქმა გინდათ, რომ ეს ყველაფერი ისევ „ოცნების“ პოლიტიკის ბრალია?***

## „ხელისუფლება თუ ყველაფერს ნაციონალებს აბრალებ, შენ რაღას აკეთებ?! ქუდი უნდა დაიხურო და წახვიდე!“

— ეს არის ამ ხელისუფლების, მათი არაეფექტიანობის ბრალი. სწორედ მათ შექმნეს ასეთი მოწყვლადი სასამართლო სისტემა, პარტიის უკანა ეზოდ აქციეს პროკურატურა და სასამართლო. ამიტომაა, რომ მათ გადაწყვეტილებებს არავინ ენდობა. პროკურატურიდან კვალიფიციური კადრები სადღაც ქვემოთ ჩააჩოჩეს და ეს უწყება პარტიული დანამატი გახადეს. სწორედ ამიტომ არის, რომ შენი სასამართლოსა და პროკურატურისადმი ნდობა არის ნული კიევშიც, ბრიუსელშიც, ვაშინგტონშიც, პარიზშიც და ბერლინშიც! აბა ასე არ ყოფილიყო და მაღალი ნდობა ჰქონოდა ჩვენს სასამართლო სისტემასა და პროკურატურას! მაშინ ამას ვერავინ გაბედავდა! სხვა თუ არაფერი, დასავლეთი არ მისცემდა უკრაინას იმის უფლებას, რომ იქ დამნაშავეები ჰყოლოდათ ხელისუფლებაში. რადგან სასამართლოც და პროკურატურაც, სამწუხაროდ, პარტია „ქართული ოცნების“ უკანა ეზოა, ხდება ის, რაც ხდება. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ საბავშვო ბაღის პოლიტიკა აქვთ, რომ ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში 10 წელია არის, ვიღაცა მესამე და მეოთხეხარისხოვან ოპოზიციას აბრალებს ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაფუჭებას. მაშინ, შენ რაღას აკეთებ?! რა გინდა ხელისუფლებაში? ქუდი უნდა დახურო და წახვიდე!

***— ოპოზიცია აკეთებს განცხადებებს, რომ უკრაინაში ჩასვლას გეგმავენ. რადგან ხელისუფლება არ ჩადის, ჩვენ ჩავალთო. თქვენ რას აპირებთ? გიორგი გახარია ან პარტიის სხვა წარმომადგენელი თუ ჩავა უკრაინაში?***

— ამასთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობს. მე გულწრფელად ვიზიარებ იმ აზრს, რომ ოპოზიცია, ერთიანად თუ ცალ-ცალკე, უნდა ჩავიდეს უკრაინაში და მხარდაჭერა გამოხატოს. დღეს უკრაინაზე გადის მთლიანად საქართველოს კი არა, დედაევროპის არქიტექტურის ბედი. ამიტომ, ვისაც რა შეუძლია, ის უნდა გააკეთოს. პოლიტიკური მხარდაჭერის გამოცხადება და არგამოცხადება პოლიტიკური აქტია. ახლა ბატონი პაპუაშვილის გაბუტვა და თურმე ავად გახდომა, ეს განცხადება რომ წავიკითხე, სიმართლე გითხრათ, ვერც ვიჯერებდი, რომ მსგავსი განცხადება გააკეთეს. ადამიანმა საკუთარი თავი ავად გაიხადა, რათა „არგუმენტი“ მონახოს, რომ უკრაინაში არ წავიდეს. თანაც რაზე? ბუჩაში მოწყობილი სასაკლაოს გამო! ასეთი რამ რუსეთმა საქართველოში გააკეთა, ეს გააკეთა გაგრაში, სოხუმში, ოჩამჩირეში. სასაკლაო მოაწყვეს. იმის მაგივრად, რომ მხარს უჭერდე უკრაინას, იმალები და ავადმყოფობას იმიზეზებ. ურთიერთობის აღდგენა სწორედ ასეთი პოლიტიკური აქტებით ხდება. როდესაც კიევში დასვამენ კითხვას, აბა, ქართველებმა რა გააკეთეს? პასუხი უნდა იყოს შემდეგი, რომ ქართველები ჩვენთან ერთად იბრძვიან, პოლიტიკოსები ჩამოდიან, რისკავენ და ჩვენ გვერდით დგანან!

***— ასეთი სახიფათოა ჩვენი ხელისუფლების იქ ჩასვლა, ნუთუ ასე უცებ შემოგვიბრუნდება რუსეთი და ომს გამოგვიცხადებს, ჩვენი ხელისუფლება რომ იქ ჩავიდეს?***

— ეგ „არგუმენტი“, რომელსაც ასე ხშირად იყენებენ, სწორედ უცოდინრობის გამო სახელდება. ვის ვის და რუსეთს არ აინტერესებს ახლა არც პაპუაშვილი, არც მდინარაძე, არც კობახიძე და არც ღარიბაშვილი, თუ რას იტყვიან ისინი. ისინი თავიანთ სტრატეგიულ ამოცანას მიჰყვებიან. შენ რაც არ უნდა უკანა თათებზე დადგე, არ აინტერესებთ, სხვანაირად აზროვნებენ. რუსეთს არ სჭირდება საბაბი, საბაბს გამოგინახავს 24 საათში. ბოლოს და ბოლოს, გაალახვინებს ვინმეს თავის ტურისტებს მათივე აგენტურის მხრიდან და სწორედ ამ მიზეზით მოგიბრუნდება.

***— დღეს გვემუქრება სერიოზული საფრთხე რუსეთის მხრიდან?***

— რუსეთი ყოველთვის საფრთხე იყო და არის, მით უმეტეს, რომ მათი სამხედრო ბაზებია აქვე განთავსებული. რა თქმა უნდა, საფრთხე არსებობს, მაგრამ, ეს საფრთხე რომ არსებობს და იარსებებს შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში, სწორედ ამისთვის გვჭირდება ისტორიის სწორ და სინათლის მხარეს დადგომა. თუ საფრთხე დაგვემუქრა რუსეთისგან, სერიოზული მხარდაჭერა დაგვჭირდება დასავლეთის მხრიდან, დაგვჭირდება მოკავშირეები და ამაზე უნდა იფიქროს ხელისუფლებამ!

***— ბატონო კახა, პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით უკრაინაში? რთულია პროგნოზი, მაგრამ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს ომი?***

— ვადებთან დაკავშირებით პასუხის გაცემა მიჭირს, მაგრამ, რომ გავრისკო და უხეში გათვლები წარმოვადგინო, მე ვფიქრობ, მაისის 10 რიცხვამდე რუსეთი ეცდება, გარკვეული შედეგი დადოს, განსაკუთრებით კი სამხრეთის მიმართულებით. სამხრეთის მიმართულებაში იგულისხმება სწორედაც ლუგანსკ-დონეცკის რეგიონებიდან სახმელეთო დერეფნის გაკეთება ყირიმამდე, ხერსონამდე და, იდეალურ შემთხვევაში, ოდესის მიმართულებით, რაც მეეჭვება. დიდი ბრძოლების მოლოდინი მაქვს შემდეგი ორი კვირის განმავლობაში სწორედ ამ გეოგრაფიული მისამართით. როგორც ჩანს, რუსეთმა სტრატეგიული გადაჯგუფება მოახდინა და მთელი თავისი სამხედრო ძალისა და მძიმე ტექნიკის კონცენტრირებას ახდენს დონეცკის მიმართულებით.

***— ამიტომ გამოიყვანა ჯარი სხვა ქალაქებიდან?***

— საბოლოო ჯამში, კონფრონტაციის რისკი არ მოხსნილა, მაგრამ სამხედრო ტექნიკა თითქმის ბოლომდე ჰყავს გამოყვანილი და გადაყვანილი ჰყავს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აქტიური ბრძოლები სწორედ ამ სამი მიმართულებით იქნება: სამხრეთით, სამხრეთ— აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთის მიმდებარედ.

***— ანუ პუტინის მიზანია, 9 მაისისთვის ამ მხარეზე იზეიმოს გამარჯვება?***

— ზუსტად ასეა, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ უკრაინელების შეიარაღება ძლიერდება და სწორედ ისეთი შეიარაღებით, რომელიც ძალიან დაეხმარება მას რუსული სამიზნეების განადგურებაში, ვეჭვობ, პუტინის ეს მიზანი მარტივი მისაღწევი იყოს. ეს მაფიქრებინებს იმას, რომ შემდეგი სამი კვირის განმავლობაში ბრძოლა იქნება გადამწყვეტი და, იმედი მაქვს, უკრაინელები გაიმარჯვებენ, ხოლო როდესაც უკრაინელები გაიმარჯვებენ, მთავარი კითხვა იქნება შემდეგი: საქართველო სად იყო და სად უნდა იყოს მომავალში?!


## განვიკურნე ლიმფომისგან

საქართველოში ბევრს მიუღია ქალბატონი ეთერის წამალი და ყველა მადლობელია. პროფესიით ვარ ექიმი-კარდიოლოგი. მქონდა ლიმფური ჯირკვლის სიმსივნე. მოხდა სასწაული და განვიკურნე ამ დაავადებისგან. ეთერმა დაამარცხა სიმსივნე. უდიდესი მადლობა მას ამისათვის.

**თინათინ კავსაძე:**

— მკერდზე მქონდა დიდი კვანძი. შედეგი არაფერმა მომცა. ეთერის წამალმა სულ გამიქრო კვანძი. ეს ქალი ახდენს სასწაულებს თავისი მამაპაპური წამლით, რომელიც საუკუნეს ითვლის. გაიხარე, ქალბატონო ეთერ! დიდი წარმატებები გქონოდეთ თქვენს ამ კეთილ საქმეში.

**გიორგი მეტრეველი:**

— მეც მონაწილე ვარ ამ დიდი წარმატების. კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავზე მქონდა წყლული, რომელიც ძალიან მაწუხებდა. ქალბატონმა ეთერმა მომარჩინა. დიდხანს იცოცხლე, ქალბატონო ეთერ! ძალიან დიდ შედეგს აღწევს თქვენი წამალი. მასთან მკურნალობა დიდ წარმატებას მოგიტანთ.

**ნანა დოლიძე:**

— თირკმელზე მქონდა კისტა, რომელიც ეთერის წამლის გამოყენების შემდეგ სულ გამიქრა. მისი წამალი ხომ დიდებულია. გარდა იმისა, რომ კისტა გამიქრა, ამ წამლის წყალობით იწმინდება სისხლიც.

**მისი ტელეფონია: 599-96-44-63.**





**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „პუტინმა ჩვენი ტერიტორიის მიერთებას შეიძლება ხელი მოაწეროს“

## პეტრე მამრაძე: „რუსები ხისტად აკონტროლებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს. ორივეგან კრემლის პირდაპირი მმართველობაა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.**

***– ბატონო პეტრე, მოგეხსენებათ, რამდენად მძიმეა 2008 წლის ომის შედეგები საქართველოსთვის. ახლაც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საქართველოს თავზე ის ბაზები, რომლებიც აგვისტოს ომის შემდეგ გააკეთა რუსეთმა ცხინვალის რეგიონში. უკრაინაში დამანგრეველი ომის ფონზე, ახლა ცხინვალის სეპარატისტული ე.წ. ხელისუფლების ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა რეფერენდუმი დანიშნა. ამ საკითხზე რეფერენდუმს ისინი უკვე მესამედ ატარებენ. 10 აპრილს ე.წ. არჩევნებიც ჰქონდათ. რას მიაწერთ თქვენ ამ საკითხის გააქტიურებას?***

– თვითონ პუტინის ადმინისტრაციასთან დაახლოებული რუსი ანალიტიკოსები გულახდილ საუბრებში ამბობდნენ, რომ ეს არის პუტინის პიარკოზირი შავი დღისთვის.

***– ანუ ახლა რუსეთსა და პუტინს შავი დღე უდგათ?***

– ჯერჯერობით არა. პუტინის რეიტინგი რუსეთში ძალიან მაღალია, მაგრამ სულ მალე მოსალოდნელია პუტინის რეიტინგის დაცემა. ამის ნიშანი ის არის, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი სოციოლოგიურ გამოკითხვებში მონაწილეობაზე უარს ამბობს (რაც ტელეფონით ხორციელდება). პასუხი აღარ უნდათ. შესაბამისად, როცა წერენ, 70 თუ 75% იწონებს პუტინის ომს უკრაინაშიო, უნდა გვახსოვდეს, 100 კაცს რომ დაურეკავენ, იქიდან პასუხს 30 თუ თანხმდება. ვინც არ პასუხობს, ე.ი. უკვე ისეთი ენთუზიასტი არ არის.

***– თუ პუტინს შავი დღე არ უდგას, მაშინ ცხინვალის რეგიონში რეფერენდუმი რატომ დანიშნეს?***

– აქ ორი რამ არის – ბიბილოვს ე.წ. არჩევნები ჰქონდა 10 აპრილს. არჩევნების წინ ყოველთვის პიარაქციას მიმართავენ. შეიძლება, ე.წ. რეფერენდუმის დანიშვნა ბიბილოვის ინიციატივაა. რა თქმა უნდა, ჯერ თავის რუს კურატორებს უთხრა ცხინვალში (ცხინვალში რუსეთის სპეცსამსახურის წარმომადგენლებიც არიან), ასეთი რამ მინდა, ჩემთვის მომგებიანიაო. საერთოდ,



რუსები ე.წ. არჩევნებში ნაკლებად ერევიან, რადგან იციან, ვინც უნდა იყოს, მაინც მათია.

***– გამორიცხავთ, რუსებს რომ ეთქვათ, რეფერენდუმი ჩაატარეთო?***

– არ გამოვრიცხავ. მეორე ვარიანტია, რომ ინიციატივა პირდაპირ კრემლიდან მოდის – აგერ, დადგა დრო, რეფერენდუმი მოაწყვე, შემოიტანე დოკუმენტები და ახლა ხელს მოგიწერო. გამიკვირდა, რეფერენდუმს რომ აწყობენ, ე.წ. რეფერენდუმები ადრე რამდენიმეჯერ ჩატარდა, რა თქმა უნდა, უკანონო. ყველაფერი მზად ჰქონდათ. ვფიქრობ, ახლანდელი ე.წ. რეფერენდუმი ე.წ. არჩევნებისთვის იყო გამიზნული. ყველა შემთხვევაში, რუსეთისა და პუტინისაგან გასაოცარი არ იქნება, თუნდაც 10 აპრილის შემდეგ პუტინმა ჩვენი ტერიტორიის მიერთებას ხელი მოაწეროს.

საქართველო სააკაშვილის ღალატის შედეგებს ითვლის. ამას ისიც ემატება, რომ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარმა შეიძლება თბილისიდან 30 კილომეტრში გაიაროს.

***– მათთვის ასე შეიძლება იყოს, მაგრამ...***

– აბა, უცხოელ ინვესტორებს ჰკითხეთ. თუ უნდათ ურთიერთობა ქვეყანასთან, რომლის დედაქალაქიდან 30 კილომეტრში რუსეთის „სახელმწიფო საზღვარია“, რუსის ჯარი დგას. ასევე ერთადერთი მთავარი მაგისტრალია, საიდანაც 400 მეტრში მავთულხლართები გადის და ავტომატიანები აკონტროლებენ, რუსეთის ტერიტორია რომ იყოს, საუბედუროდ, მაინც იმოქმედებს.

რუსები უფრო ხისტად აკონტროლებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს, ვიდრე, ვთქვათ, კრასნოდარის ან რომელიმე ოლქს, რუსეთის წიაღში, ციმბირში. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კრემლის პირდაპირი მმართველობაა. არ ვიცი, რა იქნება, მაგრამ საშიშროება არსებობს.

***– ამ პროცესის შეჩერება როგორ წარმოგიდგენიათ?***

– საქართველომ სასწრაფოდ უნდა განახორციელოს როგორც ტაქტიკური, ასევე სტრატეგიული ბირთვული იარაღის დარტყმა კრემლზე. სხვა გზა არ არის. ცხადია, ვხუმრობ. ვინ და როგორ უნდა შეაჩეროს, როდესაც მთელი მსოფლიო დარაზმულია და უკრაინის ომი ვერ შეაჩერა.

ცხადია, გაკეთდება განცხადება. ჩვენი დასავლელი მეგობრებიც გააკეთებენ განცხადებას, მაგრამ დამატებითი სანქციებიც აღარ დაედება. რუსეთზე უპრეცედენტო სანქციები უკვე დადებულია. არ ვიცი, ცხინვალის გამო კიდევ რამეს თუ დაამატებენ. ცხინვალში არაერთი რეფერენდუმი ჩაატარეს. მიკვირს, კიდევ რაში სჭირდებოდათ.

***– მგონი, ე.წ. რეფერენდუმებს მსოფლიოს დასანახად ატარებენ.***

– 2007-2008 წლებში, როდესაც პარლამენტის წევრი ვიყავი, რამდენიმეჯერ ვთქვი, რუსეთი უპრობლემოდ აღიარებს აფხაზეთისა და ცხინვალის ე.წ. დამოუკიდებლობას-მეთქი. მაშინ ჩვენი პოლიტიკოსები, ისე, როგორც ანალიტიკოსები და ექსპერტები, ერთხმად ამბობდნენ, კრემლი ამას არ იზამს, მისთვის ეს წამგებიანია, ეს ხომ რუსეთის დაშლას გამოიწვევსო.

***– რუსეთის დაშლა ვერ გამოიწვია.***

– რა თქმა უნდა, ეს რუსეთისთვის მრავალმხრივ ცუდია. დასავლეთის რეაქცია იქნება იმიტომ, რომ პრეცედენტია, მაგრამ პუტინი და მისი თანამზრახველები იმას კი არ ფიქრობენ, რუსეთისა და რუსი ხალხისთვის კარგი რა არის. ისინი დღენიადაგ ფიქრობენ იმაზე, მათთვის კარგი რა არის. ისინი ქვეყანას არად დაგიდევენ.

თუ რეიტინგისთვის კარგია, რატომაც არა, გააკეთებენ და გააკეთეს კიდეც. რაციონალური გათვლა იმაზე, რომ კრემლი რაღაცას არ გააკეთებს, რადგან რუსეთის სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობისთვის წამგებიანია, სრულიად არასწორია.

***– რუსეთისთვის დასავლეთის დაწესებული სანქციები, ალბათ, გარკვეულ შედეგებს გამოიღებს, მაგრამ ამას დრო სჭირდება. დრო კი ჩვენზე არ მუშაობს.***

– შედეგი უკვე სახეზეა, მაგრამ პუტინის ქმედებაზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით ჯერ გავლენა არ არის. შეიძლება, ეს გააკეთოს დღისა და ღამის ნებისმიერ მომენტში.

***– აფხაზები უარს ამბობენ რუსეთთან შეერთებაზე.***

– აფხაზებს რუსეთთან შეერთება არ უნდათ, მაგრამ, თუ კრემლში მტკიცე განწყობა შეიქმნება, მაშინ აფხაზები დემოკრატობანას გაითამაშებენ, შამბა იტყვის, არა, მე არ მინდოდაო, მაგრამ სხვები იტყვიან, კი, კი, გვინდაო და მიიღებენ, სად წავლენ. აფხაზეთი, როგორც ასეთი, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის დოტაციით არსებობს. სხვა არაფერი იქ არ აქვთ.

***– უკრაინის ომის დაწყების შემდეგ რუსეთმა ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებს დოტაცია შეუმცირა, უთხრა, ვეღარ მოგცემთო.***

– დოტაციები შეუმცირეს და ეს განწყობას ცვლის, მაგრამ სად წავიდნენ. სამწუხაროდ, ისეთი შეცდომები იყო დაშვებული საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, განსაკუთრებით, სააკაშვილის დროს, რომ არავითარი დადებითი განწყობა, რომ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდნენ, აფხაზებში არ არის.

***– ასეთ საკითხებს წინასწარ მომზადება სჭირდება.***

– ამ თაობაში მომზადება აშკარად ვერ ხერხდება.

# პრემიერ-მინისტრმა მარნეულის სოფელ ქუთლიარში ახალი სკოლა დაათვალიერა

## პრემიერი ბოლნისში იოსებ ქობულაძის მარანშიც იმყოფებოდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუთლიარში იმყოფებოდა, სადაც ახალი სკოლა დაათვალიერა.

შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მთავრობის მეთაურს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა გააცნო.

სკოლაში მოეწყო თანამედროვე ტიპის საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, სააქტო დარბაზი, კომბინირებული მინი სპორტული მოედანი, სასადილო და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მარნეულის მუნიციპალიტეტში 8 ახალი სკოლა შენდება, საიდანაც ხუთი დასრულებულია, სამი კი დასრულების ეტაპზეა. მშენებლობა დასრულდა ხულდარაში, შულავერში, ქუთლიარში, კასუმლოსა და ჯანდარში, სადაც სკოლის მოსწავლეები უკვე ევროპული სტანდარტების შესაბამის გარემოში სწავლობენ.

პრემიერთან ერთად ადგილზე იმყოფებოდნენ ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი დოხტურიშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, მარნეულის მერი კენან ომაროვი და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რეგიონული ტურნეს ფარგლებში, ბოლნისშიც იმყოფებოდა, სადაც 50 ჰა-ზე გაშენებული ნუშის, კაკლისა და ქლიავის ბაღები დაათვალიერა – სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში შპს „აგრო ბალავარმა“ და შპს „აგრო ბალავარი +“-მა ბაღის გაშენებისათვის 247,000 ლარზე მეტი სახელმწიფო დაფინანსება მიიღო.

მათ ასევე ისარგებლეს „შეღავათიანი აგროკრედიტით“, რომლის ფარგლებშიც სესხის ოდენობამ 768.500 ლარი შეადგინა. დამატებით, შპს „აგრო ბალავარ +“-მა, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 35% თანადაფინანსებით 22.500 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მიიღო.

მთავრობის მეთაურის თქმით, ფერმერების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები, რომლებსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს, ხელს უწყობს ქვეყანაში ევროპული სტანდარტების მრავალწლოვანი ბაღების გაშენებას და სოფლის მეურნეობის განვითარებას. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, პროგრამების ხელმისაწვდომობა



კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს.

როგორც ადგილობრივმა ფერმერმა ქეთევან ისიანმა აღნიშნა, რომ არა სახელმწიფო დაფინანსება და ხელშეწყობა, ბაღების გაშენება დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული.

სახელმწიფო პროგრამით „დანერგე მომავალი“ ქვემო ქართლის რეგიონში ახალი, მრავალწლოვანი ბაღის გაშენება 3.000 ჰექტარზე მეტ ფართობზე დაფინანსდა, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 16 მლნ ლარს აღემატება.

ქვემო ქართლის რეგიონში „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში გაცემულია 414 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სესხი, სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული თანადაფინანსება კი 61 მლნ ლარს აღემატება.

პრემიერ-მინისტრთან ერთად ადგილზე ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია და ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი დოხტურიშვილი იმყოფებოდნენ.

ისინი ბოლნისში, იოსებ ქობულაძის ღვინის მარანში იმყოფებოდნენ, რომელიც 2021 წელს სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში 30.000 ლარით დაფინანსდა.

„ქობულაძის მარანს“ არაერთი ჯილდო აქვს მიღებული, 2017 წლიდან ფუნქციონირებს და საფერავის, რქაწითელისა და ევროპული სახეობის ღვინოებს აწარმოებს.

როგორც მეღვინემ აღნიშნა, სახელმწიფო პროგრამით დაფინანსების შედეგად მან 10 ტონის მოცულობის 7 ქვევრი, ასევე უჟანგავი ფოლადის ავზები და ღვინის საფილტრი შეიძინა. მისივე განცხადებით, რომ არა ხელშემწყობი პროგრამები, პროექტი ვერ განხორციელდებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, სახელმწიფო სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს ქართველი მეწარმეების დაფინანსებას.

2018 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ქობულაძის მიერ წარმოებული რქაწითელი ოქროს მედლით დააჯილდოვა. საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე რქაწითელის ღვინო ოქროს მედლით 2019 წელსაც დაჯილდოვდა.



# ელენე ხოშტარია: „ბუჩაში ვიზიტი იქნება პარტნიორებისთვის ჩვენი ქვეყნის პოზიციის ჩვენება“

– ამ ხელისუფლებას გაცხადებული აქვს, რომ ისინი გარკვეულ დაპირისპირებაშიც კი არიან უკრაინასთან.

ასე გამოეხმაურა „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პასუხს უკრაინის უმაღლესი რადის თავმჯდომარის მიწვევის შესახებ.

როგორც ხოშტარიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ოპოზიციის წარმომადგენლებს მთავრობის კრიტიკაზე მეტი ევალებათ და მათი ბუჩაში ვიზიტი საერთაშორისო პარტნიორებისთვის საქართველოს პოზიციის ჩვენება იქნება.

– ჩვენ, ოპოზიციას, მეტი გვევალება, ვიდრე უბრალოდ მთავრობის კრიტიკა. ამიტომ დიახ, ჩვენ, პრაქტიკულად ყველა პარტიას გვქონდა კონსულტაცია, რომ ბუჩაში ვიზიტი შედეგი იქნება ჩვენი პარტნიორებისთვის ჩვენი ქვეყნის პოზიციის ჩვენება. ახლა მიდის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

ცნობისთვის, საქართველოში უკრაინის დროებითმა რწმუნებულმა ანდრეი კასიანოვმა განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მიიღო მიწვევა, რათა თავად ჩავიდეს უკრაინის ქალაქ ბუჩაში და ომის დანაშაულები საკუთარი თვალით ნახოს.

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის მიერ თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, შალვა პაპუაშვილს უკრაინის რადის თავმჯდომარის მიწვევა არ მიუღია. მოგვიანებით კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტმა განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ საელჩოდან წერილი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი უკრაინის საელჩოს დაუკავშირდა და ვითარებაში გარკვევა სთხოვა.

პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის ცნობითვე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შალვა პაპუაშვილი მუშაობის დისტანციურ რეჟიმზეა გადასული.

# საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კითხვარს 11 აპრილს გადასცემენ

საქართველოს და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კითხვარს ორშაბათს გადასცემენ.

ამის შესახებ ევროკავშირის კომისარმა სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ოლივერ ვარჰეიმ ტვიტერში დაწერა.

„პასუხები დაეხმარება ევროკომისიას, მოამზადოს მოსაზრებები სამი ქვეყნის (უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს) შესახებ, როგორც ამას ევროკავშირის საბჭო ითხოვს“, – დაწერა ვარჰეიმ ტვიტერში.

ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა, უკრაინის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის, კითხვარი 8 აპრილს უკრაინაში გადასცა.

# კონსტანტინე ქობულია მარლენ მეტონიძეს მარტოს ელოდა, შენობასთან კი სნაიპერი იყო

## „ლაგუნა ვერეს“ ტრაგედიის ახალი დეტალები

„ლაგუნა ვერესთან“ მომხდარი სისხლიანი გარჩევისა და მკვლელობის საქმეზე „ინტერპრესნიუსისთვის“ ახალი დეტალი ხდება ცნობილი.

სააგენტოს წყაროს ინფორმაციით, ოფისის მიმდებარედ, სადაც ბიზნესმენი მარლენ მეტონიძე ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, გიორგი ქობულიას ძმასთან, კონსტანტინე ქობულიასთან შესახვედრად მივიდა, სნაიპერი იმყოფებოდა.

წყაროს ცნობით, სნაიპერი შენობის სახურავზე იყო განთავსებული და მას შემდეგ, რაც სისხლიანი გარჩევა მოხდა და მარლენ მეტონიძე დაჭრილ მდგომარეობაში მიმდებარე ტერიტორიას ტოვებდა, სნაიპერმა მეტონიძისა და მისი თანმხლები პირის კუთვნილი ავტომანქანების მისამართით გასროლა განახორციელა.

არსებული ინფორმაციით, ავტომანქანებს ნატყვიარი უკანა მხარეს აქვს. აღნიშნული ავტომობილები სამართალდამცავებმა ექსპერტიზაზე გადაიყვანეს.

წყაროს ცნობითვე, კონსტანტინე ქობულია მეტონიძეს მარტო ელოდებოდა, მისი გაღიზიანება კი სწორედ იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ბიზნესმენი შეხვედრაზე 17 ადამიანთან ერთად მივიდა.

პირი, რომელიც „ინტერპრესნიუსს“ ესაუბრა, ყვება, რომ მსგავს დახვედრას მეტონიძის თანმხლები პირები არ ელოდნენ და აღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზია გამოთქვეს, მათ შორის, სროლისას დაჭრილმა ხვიჩა ცხაკაიამ. წყაროს ცნობით, მას ქობულიამ შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც ცხაკაიამ ქობულიას უთხრა, რომ „სამკურნალო იყო“, რასაც მისი გაღიზიანება და გასროლა მოჰყვა.

„მთავარმა არხმა“ მოიპოვა „ლაგუნა ვერესთან“ მომხდარი მკვლელობისა და დაპირისპირების საქმის მასალები და ვიდეომასალა, სადაც დაპირისპირების ყველა მონაწილე ჩანს.

ვიდეოკადრებში 10-მდე ავტომობილი ჩანს, საიდანაც „ქურდულ გარჩევაში“ მონაწილე პირები გადმოდიან, შედიან შენობაში და გარე პერიმეტრზე მხოლოდ მათი პირადი დაცვის წევრები რჩებიან.

გარჩევა დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ადგილას 20 საათსა და 43 წუთზე დაიწყო.

კადრებში კარგად ჩანს ბრალდებული პირების გადაადგილება. შესაბამისად, ამ ვიდეომასალით დგინდება, რომ „ქურდულ გარჩევაში“ დაახლოებით 20 პირი მონაწილეობდა. არ არის გამორიცხული, რომ ბრალდებულთა წრე კიდევ უფრო გაიზარდოს.

ცნობისთვის, 3 აპრილს თბილისში, „ლაგუნა ვერესთან“, გიორგი ქველიაშვილის კუთვნილი საგზაო კომპანიის ოფისში, სადაც ორმხრივი სროლა იყო, რამდენიმე ადამიანი დაჭრეს, 2 პირი – კონსტანტინე ქობულია და ვახტანგ გურგენიძე კი მოკლეს. კონსტანტინე ქობულია ეკონომიკის ყოფილი მინისტრის გიორგი ქობულიას ძმა იყო.

არსებული ინფორმაციით, გიორგი ქველიაშვილის ოფისში კონსტანტინე ქობულიასთან და ვახტანგ გურგენიძესთან სასაუბროდ მათი ნაცნობი – ბიზნესმენი მარლენ მეტონიძე 17 ადამიანთან ერთად მივიდა, რომელთაგანაც 5 პირი მისი პირადი დაცვა იყო. სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ, კონსტანტინე ქობულიამ ბიზნესმენ მეტონიძისა და მისი თანმხლები პირების მისამართით გასროლა განახორციელა, რის შედეგადაც მარლენ მეტონიძე, ოთარ ბარკალაია და დავით ცისკარიშვილი დაიჭრნენ.

აღნიშნული დაპირისპირებისას ბიზნესმენის დაცვის წევრმა კობა მეტრეველმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განახორციელა, რასაც კონსტანტინე ქობულიას სიცოცხლე ემსხვერპლა. დაუდგენელია პირი, რომლის გასროლითაც ვახტანგ გურგენიძე გარდაიცვალა.



არსებული ინფორმაციით, მარლენ მეტონიძე შეხვედრის ადგილზე ჯავშანჟილეტით იყო მისული. დაუზუსტებელი ცნობით, ოფისში, სადაც სისხლიან გარჩევაში მონაწილე პირები მივიდნენ, იატაკზე პოლიეთილენის ცელოფნები იყო მოფენილი, რაც შესაძლოა, მკვლელობის წინასწარ განზრახვაზე მიუთითებდეს.

კონფლიქტში 20 პირზე მეტი მონაწილეობდა. პროკურატურა შესაძლო დამნაშავე პირთა წრის გაზრდას არ გამორიცხავს. საერთო ჯამში, საქმეზე 5 პირია დაკავებული, მათ შორის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს გიორგი გელოვანი, გიორგი ასლანიშვილი, გიორგი პეტრუშკო. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია კობა მეტრეველი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით კი, გიორგი ქველიაშვილი.

# „მთავარ არხზე“ ძალადობისთვის „კონსერვატიული მოძრაობის“ ხელმძღვანელი და მისი თანამზრახველი დააკავეს

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტის ემა გოგოხიასა და ოპერატორის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე დაკავებულია ორი პირი – პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი და მისი თანამზრახველი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის კოკა კაციტაძის განცხადებით, უწყებამ 2022 წლის 17 მარტს, ფაქტზე გამოძიება შემოსული შეტყობინების საფუძველზე დაიწყო, რომლის თანახმადაც, ზუგდიდში „ალტ-ინფოს“ წარმომადგენლებმა „მთავარი არხის“ ჟურნალისტსა და მის ოპერატორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

მისივე თქმით, ჟურნალისტების უფლებების და მათი პროფესიული საქმიანობის დაცვა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

– სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა საქმეზე ყველა აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება ჩაატარა, გამოიკითხნენ დაზარალებული ჟურნალისტი, ოპერატორი და სამართალდამცველები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, დანაშაულის ადგილიდან ამოღებულ იქნა სათვალთვალო ვიდეო კამერების ჩანაწერები, მოხდა მათი დეტალური შესწავლა, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2022 წლის 17 მარტს ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტი ემა გოგოხია და ამავე არხის ოპერატორი ზვიად აბლოთია ინტერვიუს ჩასაწერად ზუგდიდში, „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისთან იმყოფებოდნენ. ამ დროს, ადგილზე სწრაფი სვლით მივიდა ავტომანქანა, საიდანაც ბრალდებულები გადმოვიდნენ. ისინი შეურაცხმყოფელი შეძახილებით და გინებით, ჟურნალისტს და მის ოპერატორს ინტერვიუს ჩაწერის შეწყვეტას და მიმდებარე ტერიტორიის დატოვებას სთხოვდნენ. განხორციელებული დევნის დროს, ბრალდებულებმა ჟურნალისტს და მის ოპერატორს სხეულის სხვადასხვა არეში მრავლობითი დაზიანებები მიაყენეს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პროფესიული ნიშნით განხორციელებული დევნის და ჟურნალისტის საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, დანაშაული რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სასამართლო განჩინების საფუძველზე, ზუგდიდში დაკავებულ იქნა ორივე ბრალდებული.

ჟურნალისტების უფლებების და მათი პროფესიული საქმიანობის დაცვა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რომ ამ ტიპის საქმეების გამოძიება სწრაფი და ეფექტიანი იყოს, – განაცხადა კოკა კაციტაძემ.

პროკურატურამ 2 პირს ბრალდება წარუდგინა.

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 17 მარტს ქ.ზუგდიდში, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ოფისთან, გ.გ.-მ და ბ.ძ.-მ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტის ე.გ.-ს და ოპერატორის ზ.ა.-ს მიმართ, მათი ჟურნალისტური საქმიანობის გამო უკმაყოფილება გამოხატეს, შეურაცხმყოფელი შეძახილებით მიმდებარე ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

სამართალდამცველებმა გ.გ. და ბ.ძ. 8 აპრილს სასამართლო განჩინების საფუძველზე დააკავეს.

მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დევნა, პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

საქართველოს პროკურატურა ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ატარებს“, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# გერმანიამ საქართველოს სააკაშვილის დროინდელი ციხის მაღალჩინოსანი ვლადიმერ კაპანაძე გადასცა

გერმანიის სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მსჯავრდებული ვლადიმერ კაპანაძის საქართველოში ექსტრადირების თაობაზე.

ამის შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ჩილინგარაშვილმა ბრიფინგზე გაავრცელა.

– შესაბამისად, 2022 წლის საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ძებნილი, სასჯელაღსრულების №6 დაწესებულების რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი ვ.კ., საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მიერ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში იქნა ეტაპირებული.

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, ვ.კ. მსჯავრდებულია პატიმართა მიმართ განხორციელებული წამებისთვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144?-ე მუხლით, რისთვისაც განსაზღვრული აქვს 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

დადგენილია, რომ ვ.კ.-მ, რომელიც 2007 წლის 26 ივნისიდან 2012 წლის 20 ნოემბრამდე იკავებდა სასჯელაღსრულების № 6 დაწესებულების რეჟიმის განყოფილების უფროსის თანამდებობას, პირთა ჯგუფთან ერთად, შეიმუშავა მსჯავრდებულთა მიმართ მოპყრობის არაკანონიერი მეთოდები, რომელიც მიზნად ისახავდა მათ მიმართ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. ვ.კ. თანამშრომლებთან ერთად ეწეოდა პატიმრების სისტემატურ ცემასა და წამებას.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის ქართული მხარისთვის გადმოცემა განხორციელდა ერთის მხრივ, საქართველოს გენერალური პროკურატურის, საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების და მეორეს მხრივ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების ეფექტური და წარმატებული თანამშრომლობის შედეგად.

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ გერმანელ კოლეგებს წარმატებული თანამშრომლობისთვის, ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს მათი კომპეტენციის ფარგლებში გატარებული ღონისძიებებისთვის, რის შედეგადაც, შესაძლებელი გახდა ძებნილი პირის საქართველოში ექსტრადიცია და მისი ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა.

საქართველოს პროკურატურა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი და ძებნილ პირთა საქართველოში ექსტრადიციის საკითხებზე პასუხისმგებელი უწყება, მომავალშიც ყველა ზომას მიიღებს, რათა საქართველოში დანაშაულის ჩამდენი ნებისმიერი პირი, მიუხედავად მისი ადგილსამყოფლისა, წარდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე, – განაცხადა ჩილინგარაშვილმა.

# რუსთავში ქალი სამმა მამაკაცმა ჯგუფურად გააუპატიურა

რუსთავში ახალგაზრდა ქალი ჯგუფურად გააუპატიურეს.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, გვიან ღამით 35 წლამდე ქალი ფონიჭალა-რუსთავის გზატკეცილზე, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა სამმა მამაკაცმა ძალის გამოყენებით ავტომობილში ჩასვა და რუსთავში, ცენტრალური პარკის მიმდებარედ, მდინარე მტკვრის სანაპიროზე სამშენებლო მასალის მოსაპოვებელ კარიერთან მიიყვანა.

შემთხვევის ადგილზე მისულ სამ მამაკაცს კიდევ ერთი პიროვნება შეუერთდა, რომელიც კარიერის დაცვის თანამშრომლად იყო დასაქმებული.

ოთხივე მათგანი ახალგაზრდა ქალს ჯერ ფიზიკურად გაუსწორდა, შემდეგ კი სამმა კაცმა მასზე სექსუალურად იძალადა.

გაუპატიურებაში მონაწილეობა მიიღო კარიერის დაცვის თანამშრომელმაც.

ახალგაზრდა ქალმა ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემდეგ გაქცევა მოახერხა და ფაქტის შესახებ სამართალდამცავებს აცნობა. პოლიციელებმა ოთხივე პირი დააკავეს.

დაკავებულების სასამართლო პროცესი რუსთავის საქალაქო სასამართლოში გაიმართა და მოსამართლე მადონა მაისურაძემ ოთხივეს აღკვეთის ღონისძიების სახით 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

როგორც საქმის პროკურორმა თინათინ სტურუამ „ინფო რუსთავს“ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა, ბრალდებულებიდან სამ პირს ბრალი წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა ქვეპუნქტითა და 137 მუხლის მე-3 ნაწილის გ ქვეპუნქტით. აღნიშნული მუხლები წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთასა და გაუპატიურებას ითვალისწინებს.

სტურუას ინფორმაციითვე, მეოთხე პირს ბრალად ედება თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა.

საქმეზე ბრალდებულების უფლებადამცველებმა მომხდართან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.



# ვაჟა-ფშაველაზე ავტობუსის მოსაცდელი გადაყირავდა

8 აპრილს თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ავტობუსის მოსაცდელი გადაყირავდა.

როგორც ცნობილია, შემთხვევის შედეგად დაშავებულები არ არიან.

ადგილზე სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

# ბათუმში ახალგაზრდა კაცი დაჭრეს

8 აპრილს ბათუმში, 26 მაისისა და გორგილაძის ქუჩის კვეთაზე, ახალგაზრდა კაცი დაჭრეს. დაჭრას წინ ახალგაზრდებს შორის ჩხუბი უძლოდა.

არსებული ინფორმაციით, დაშავებულს ჭრილობა ცივი იარაღით აქვს მიყენებული. ის კლინიკაშია გადაყვანილი და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

როგორც „მთავარი არხის“ ვებგვერდს შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

სოციალურ ქსელში მოქალაქე კობა ფარტენაძე ინციდენტის შემდეგ გადაღებულ ვიდეომასალას ავრცელებს. ის წერს, რომ მსგავსი შემთხვევები ბათუმის ყოველდღიურობა გახდა.

# ავტობანზე მანქანა, რომელშიც ბავშვები დედასთან ერთად ისხდნენ, სანიაღვრე არხში ჩავარდა

9 აპრილს გორის ავტობანზე, გვირაბთან, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ავტომობილი სანიაღვრე არხში გადავარდა.

ავარიის დროს ავტომობილში დედა და ორი მცირეწლოვანი ბავშვი იჯდა. მათ სხეულის მსუბუქი დაზიანება აღენიშნებათ.

ადგილზე სასწრაფო დახმარების ჯგუფები და საპატრულო პოლიცია იმყოფებოდნენ.

## ბორის ჯონსონი კიევში ჩავიდა



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი 9 აპრილს კიევში ჩავიდა.

ბორის ჯონსონის ვიზიტი კიევში დაიწყო პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან პირისპირ შეხვედრით.

მანამდე ცნობილი გახდა, რომ დიდი ბრიტანეთი ავითარებს გეგმას უკრაინაში ჯავშანტექნიკის გაგზავნის შესახებ.

გარდა ამისა, ტაიმსი წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ბრიტანული ჯარები გაიგზავნება უკრაინის მეზობელ ქვეყანაში წვრთნებისთვის.

უკრაინის თავდაცვის სამინისტრო ბორის ჯონსონის ქვეყანაში ვიზიტს ტვიტერში პოსტით ეხმიანება.

„ბორის ჯონსონმა და ვოლოდიმირ ზელენსკიმ კიევის ცენტრში გაიარეს და რიგით კიეველებს გაესაუბრნენ. ასე გამოიყურება დემოკრატია. ასე გამოიყურება გამბედაობა. ასე გამოიყურება ხალხთა და ერებს შორის ნამდვილი მეგობრობა“, – წერს უკრაინის თავდაცვის უწყება.

ვოლოდიმირ ზელენსკი რუსეთზე „კიდევ მეტი ზეწოლისკენ“ მოწოდებით გამოდის და თავისი ქვეყნისთვის თავდაცვით დახმარებას ითხოვს.

– სხვა ქვეყნებმა უნდა მიბაძონ გაერთიანებული სამეფოს მაგალითს. დროა, სრული ემბარგო დაწესდეს რუსეთის ენერგეტიკულ სექტორზე. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ანტისაომარი კოალიცია. ვიმედოვნებთ, რომ ლონდონი მთავარ როლს ითამაშებს ამ პროცესში, – აღნიშნა ზელენსკიმ ჯონსონთან კიევში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

უკრაინისა და გაერთიანებული სამეფოს ლიდერებმა ასევე ისაუბრეს უკრაინის ომის შემდგომ აღდგენაზე.

– ჩვენ ერთად აღვადგენთ ჩვენს ქვეყანასა და ქალაქებს, – დასძინა ზელენსკიმ.

სიტყვით ბორის ჯონსონიც გამოვიდა.

– ჩვენ უზრუნველვყოფთ მხარდაჭერას, რათა უკრაინაში აღარასოდეს განხორციელდეს შეჭრა, – განაცხადა მან.

ჯონსონმა დასძინა, რომ უკრაინელებმა ლომის სიმამაცე გამოიჩინეს, ზელენსკიმ კი ლომის ღრიალი აჩვენა.

– ჩვენს პარტნიორებთან ერთად ვაპირებთ, გავზარდოთ ეკონომიკური ზეწოლა და გავაგრძელოთ ყოველკვირეულად რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაძლიერება, – აღნიშნა ჯონსონმა.

პრესკონფერენციაზე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა შეეცდება, უარი თქვას რუსულ ქვანახშირზე, გაზსა და ნავთობზე.

– ის, რაც პუტინმა ჩაიდინა ისეთ ადგილებში, როგორებიცაა ბუჩა და ირპინი, არის ომის დანაშაულები, რომლებმაც სამუდამოდ დააბინძურეს მისი და მისი მთავრობის რეპუტაცია, – განაცხადა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა.

## უკრაინელების მხარდასაჭერად 10 მილიარდ ევროზე მეტი შეგროვდა




გლობალური ღონისძიებისა და კამპანიის „დადექი უკრაინისთვის“ ფარგლებში, რომელიც მიზნად უკრაინელების დახმარებას ისახავს, დღემდე 10 მილიარდ ევროზე მეტი შეგროვდა.

ამის შესახებ ევროკომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

აღნიშნული კამპანია 26 მარტს ევროკომისიამ და კანადის მთავრობამ წამოიწყეს.

– ქვეყნების, კომპანიებისა და ხალხის სოლიდარობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით გარკვეულ შუქს წარმოადგენს ამ ბნელ დროს. ჩვენ გავაგრძელებთ მხარდაჭერას და, როგორც კი ბომბები შეწყვეტენ ვარდნას, ჩვენ დავეხმარებით უკრაინელ ხალხს საკუთარი ქვეყნის აღდგენაში, – აღნიშნა ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.

– იქნება ეს საკვები, წყალი, თავშესაფარი თუ სამედიცინო დახმარება, ჩვენ გავაგრძელებთ თქვენ გვერდში დგომას და გაგიწევთ დახმარებას, რომელიც ამ დროს გჭირდებათ. ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინას, – აღნიშნა კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრუდომ.

## 14 წლის გოგო, რომელიც 5-მა ოკუპანტმა გააუპატიურა, ახლა ორსულად არის



უკრაინის სახალხო დამცველი, ლუდმილა დენისოვა, რუსი ოკუპანტების მიერ უკრაინაში ჩადენილ განსაკუთრებულ სისასტიკეზე, მათ შორის არასრულწლოვნებზე განხორციელებულ სექსუალური ძალადობის ფაქტებზე წერს.

„რუსი ტერორისტებისა და ჯალათების სისასტიკეს საზღვარი არ აქვს. გაუპატიურებული არიან ბავშვები. 14 წლის გოგონა ბუჩიდან გააუპატიურა 5-მა რუსმა ოკუპანტმა. გოგონა ახლა ორსულადაა.

ბუჩა – ბიჭი 11 წლის, გააუპატიურეს დედის თვალწინ. დედა მიაბეს სკამზე, რომ ყველაფერი საკუთარი თვალით ენახა.

ირპენი – 20 წლის ქალი გააუპატიურა სამმა ოკუპანტმა.

არ არსებობს ისეთი ადგილი, არც ამქვეყნად და არც ჯოჯოხეთში, სადაც რაშისტები სასჯელს გაექცევიან. რაშისტებმა აუცილებლად უნდა აგონ პასუხი“, – წერს დენისოვა.

## სროლა თელ ავივში




### 2 ადამიანი დაიღუპა, 8 დაიჭრა

7 აპრილს ისრაელში, თელავივის ცენტრში, სროლის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 8 დაიჭრა.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ისრაელის მედია იჩილოვის სამედიცინო ცენტრის ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით ავრცელებს.

დაჭრილებიდან 2 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო საავადმყოფოში კიდევ 8 დაჭრილს მკურნალობენ. მათგან ოთხს ოპერაცია ჩაუტარდა და ისინი მძიმე მდგომარეობაში არიან, კიდევ ორი საშუალო სიმძიმისაა, ხოლო ორი მსუბუქადაა დაშავებული.

ტრანსპორტის სამინისტროში აცხადებენ, რომ პოლიციის მოთხოვნით თელ-ავივის ცენტრში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა გაჩერებული იყო, რადგან პოლიციელები მსროლელის ძებნას აგრძელებდნენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ბორჯღალოსნები იტალიასა და უელსს ეთამაშებიან




10 ივლისს „დინამო არენაზე“ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები იტალიას უმასპინძლებს. ეს მატჩი უფრო იმიტომ არის საინტერესო, რომ ეს გუნდები პრეტენზიას 6 ერის ტურნირში თამაშზე აცხადებენ და ბოლო დროს ამ თემის ირგვლივ გამუდმებით მიმდინარეობს დისკუსია.

ეს ამბავი ჯერ კიდევ გასულ წელს იწერებოდა იტალიურ მედიაში, შემდეგ აპენინური გუნდის ახალზელანდიელმა მწვრთნელმა კირან ქრაულიმ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზეც ახსენა, რომ საქართველოსთან ითამაშებდნენ. ახლა უკვე კონკრეტული თარიღიც დასახელდა.

საქართველო (12) რეიტინგით იტალიას (14) უსწრებს, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში მეტოქეს ორივე მატჩი მოგებული აქვს. თუმცა, ორივე სტუმრად წავაგეთ (22:31 და 17:28).

შემოდგომაზე კი, 19 ნოემბერს, „ბორჯღალოსნები“ კარდიფში უელსს ეთამაშება. ეს იქნება მე-4 შემთხვევა ბოლო 5 წლის განმავლობაში, როდესაც საქართველო „დრაკონებს“ შეხვდება.

აქამდე 3-ვე მატჩი უელსელებმა მოიგეს და ეს გასაკვირიც არ არის. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის შემდეგ უელსს მეხუთედაც შევხვდებით, რადგან საფრანგეთის 2023 წლის მსოფლიო თასზე, უელსი და საქართველო ერთ ჯგუფში ითამაშებენ.

უელსელებთან დაპირისპირებაზე კომენტარი გააკეთა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა.

– მსოფლიო თასის წინ უელსთან თამაში ძალიან სასიხარულო და საინტერესოა. ზოგადად, ტიერ 1-ის გუნდებთან შეხვედრა ჩვენთვის ყოველთვის საინტერესოა. მოვსინჯავთ ძალებს და ვნახავთ, რა შეგვიძლია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, მეტოქე რა შემადგენლობით დაგვხვდება. უელსს არ აქვს ისეთი სიღრმე, როგორიც საფრანგეთსა და ინგლისს. მათი პირველი შემადგენლობა სხვა ხარისხის რაგბის თამაშობს და სხვას – მეორე ნომრები. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, კარგი თამაში იქნება. უელსი ძიების პროცესშია, რადგან ნაკრებიდან ბევრი მორაგბე წავიდა და პივაკი ცდილობს, მსოფლიო თასის წინ ახალი გუნდი ააშენოს.

უკვე ცნობილია, რომ 19 ნოემბრის მატჩი „პრინციფალითიზე“ გაიმართება. ბილეთების ფასი 10, 15, 20, 25 და 35 გირვანქა სტერლინგი იქნება და მათი გაყიდვა 10 ივნისიდან დაიწყება.

## ძალოსნობასა და კრივში წონითი კატეგორიები შეიცვალა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პარიზის 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ძალოსანთა ტურნირი ახალ წონით კატეგორიებში ჩატარდება.

პარიზულ ფიცარნაგზე ძალოსანთა ასპარეზობები გაიმართება კაცთა 5 წონით კატეგორიებში (61, 73, 89, 102, +102). ქალი ძალოსნებიც ასევე 5 წონაში (49, 59, 71, 81, +81) გამოვლენ.

ეს ნიშნავს, რომ ქართველ ძალოსან ლაშა ტალახაძეს კიდევ ახალი რეკორდების დამყარება მოუწევს, რადგან მისი აქამდე ნაჩვენები შედეგები ისტორიას ჩაბარდება.

საგულისხმოა, რომ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ძალოსანთა შეჯიბრებები 7 წონით კატეგორიაში ჩატარდა როგორც კაცებში, ისე ქალებში.

წონები შეიცვალა მოკრივეთა ტურნირისთვისაც. მოკრივეთა ოლიმპიური ტურნირი კაცებში 7 წონით კატეგორიაში (51, 57, 63,5, 71, 80, 92, +92) ჩატარდება, ხოლო ქალები მედლებს 6 წონით კატეგორიაში (50, 54, 57, 60, 66, +75) გაითამაშებენ.

ტოკიოს თამაშებზე მედლები კაცთა 8 და ქალთა 5 კილოგრამ წონით კატეგორიაში გათამაშდა.

პარიზი 33-ე ოლიმპიურ თამაშებს 2024 წლის 26 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით უმასპინძლებს.

## ვილი სანიოლი: „კვარაცხელია ბუნდესლიგისთვის მზად არის“

გერმანულმა „შპორტ ბილდმა“ საქართველოს ნაკრების მწვრთნელ ვილი სანიოლთან ინტერვიუ გამოაქვეყნა. სანიოლი გერმანული ფეხბურთისთვის უცხო ნამდვილად არ არის,



რადგან კარიერის დიდი ნაწილი (2000-09) მიუნხენის ბაიერნში აქვს გატარებული. მუსიე ვილის ბავარიულ კლუბში მწვრთნელის ასისტენტადაც უმუშავია და ერთხელ თავადაც გაიყვანა გუნდი მოედანზე.

სანიოლის გერმანული ამბები ახლა ნაკლებად გვაინტერესებს და მხოლოდ იმ მცირე ამონარიდს შემოგთავაზებთ, რომელიც ქართულ ფეხბურთს ეხება.

ჯერ ვნახოთ, რას წერს გამოცემა:

– სანიოლი 45 წლისაა. მან ბავარიელების შემადგენლობაში 277 შეხვედრა ჩაატარა. 2017 წელს რეკორდმაისტერის მწვრთნელის ასისტენტადაც მუშაობდა, ახლა კი საქართველოს სათავეში ეროვნულ გუნდს უდგას.

***– უკვე წელიწადია, რაც საქართველოს ნაკრებს წვრთნით. რომელი ქართველი ფეხბურთელი გაიზარდა ისე, რომ ბუნდესლიგის კლუბებსა და თვით ბაიერნსაც კი ურჩევდით მისით დაინტერესებას?***

– ჩვენი ყველაზე დიდი ტალანტი ხვიჩა კვარაცხელიაა. სათამაშო სტილის თვალსაზრისით ფრანკ რიბერის ჰგავს, ვერტიკალურ ფეხბურთს თამაშობს, ყოველთვის რისკავს, სწრაფია, მაგრამ ტექნიკურად უფრო ძლიერია. კვარაცხელია ყაზანის რუბინიდან წამოვიდა და, ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალ კლუბში რეგულარულად ითამაშოს. მას სჭირდება მწვრთნელი, რომელიც დაეხმარება, მის გამოძერწვას გააგრძელებს. კვარაცხელია უეჭველად არის ბუნდესლიგის დონის მოთამაშე. 21 წლის ასაკში შეიძლება ბაიერნის შესაფერისად ჯერ ვერ თამაშობს, მაგრამ სავსებით მზად არის ისეთი კლუბებისთვის, როგორებიც არიან ლევერკუზენი, დორტმუნდი და გლადბახი.

***– სანამ ბაიერნის მწვრთნელის ასისტენტი გახდებოდით, საფრანგეთის ფეხბურთის ასოციაციაში 21-წლამდელებთან მუშაობდით. ნაკრების სათავეში ყოფნა კლუბის ხელმძღვანელობაზე უფრო მიმზიდველია?***

– მე ყველაფრისთვის მზად ვარ. როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა და ბუნდესლიგის ყოფილმა ვარსკვლავმა ალექსანდრე იაშვილმა დამირეკა, რამდენიმე კლუბის შემოთავაზებას განვიხილავდი. ალექსი მხოლოდ 5 წუთს მელაპარაკა და მითხრა: ოკ, მაშ, მოდი, გავაკეთოთ საქმე. როდესაც ერთმანეთს 2 ყოფილი პროფესიონალი ელაპარაკება, საქმე ყოველთვის ჩქარა მიდის.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

### უზარმაზარმა ზუთხმა მეთევზე თავისი კაიაკით დინების საწინააღმდეგოდ ათრია



კანადელმა ბრეიდენ სიდნი რაუზმა უზარმაზარი, მოზრდილი ადამიანის ზომის ზუთხი დაიჭირა.რაუზი და მისი შეყვარებული სიდნი კოზელენკო მდინარე ფრეიზერზე თევზაობდნენ, რომელიც კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიაში მიედინება. როდესაც თევზი ანკესზე წამოეგო, ის მაშინვე მიხვდა, რომ საქმე საკმაოდ მოზრდილ თევზთან ექნებოდა.

– ეს აშკარა იყო, ვინაიდან, როდესაც მოვქაჩე, ის ადგილიდან არ დაძრულა, შემდეგ კი წავიდა და წავიდა, – იხსენებს კანადელი მეთევზე.

რაუზი კაიაკში ჩახტა იმის იმედით, რომ მისი დახმარებით შეძლებდა თევზის წყლიდან ამოყვანას. მან ჯერ დინების მიმართულებით გაცურა, შემდეგ შეტრიალდა, დინებას აღმა აუყვა და კაიაკი თავისი მეთევზით თან გაიყოლა. როდესაც კოზელენკო მიხვდა, რაც ხდებოდა, შეყვარებულს დასახმარებლად მეორე ნავით გაეკიდა.ქალმა კაიაკები თოკით ერთმანეთზე გადააბა და ნაპირისკენ მოუსვა ნიჩბები. ამ დროს კი რაუზი თევზთან ჭიდილს აგრძელებდა. საბოლოოდ მასთან გამკლავება ნახევარსაათიანი ბრძოლის შემდეგ მოახერხა. აღმოჩნდა, რომ მის მიერ დაჭერილი ზუთხის სიგრძე – 2,6 მეტრს, ხოლო წონა 159 კილოგრამს შეადგენდა. რაუზმა და მისმა შეყვარებულმა თევზთან სურათები გადაიღეს და შემდეგ მდინარეში დააბრუნეს.

### ფერმერმა აუქციონზე უიშვიათესი მონეტა გაყიდა



ინტერნეტაუქციონზე გაიყიდა IX საუკუნის ერთადერთი, კარლოს დიდის სიცოცხლეშივე გამოშვებული მისი გამოსახულებიანი დენარი.

უიშვიათესი შუა საუკუნეების მონეტა ინტერნეტაუქციონზე გასაყიდად ფრანგმა ფერმერმა გამოიტანა. გაირკვა, რომ მან ის გარდაცვლილი ბიძის კოლექციაში აღმოაჩინა, რომელიც ნუმიზმატიკით იყო გატაცებული. მამაკაცმა მისი გაყიდვა იმის გამო გადაწყვიტა, რომ ახალი სახლის ასაშენებლად ფული არ ჰყოფნიდა. უჩვეულო ლოტმა გერმანიის ქალაქ ააჰენის კარლოს დიდის ცენტრის სპეციალისტის ყურადღება მიიპყრო. მუზეუმის წარმომადგენლები ვაჭრობაში ჩაერთვნენ და დენარის გამოსყიდვა ოთხნიშნა ევროდ შეძლეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი საბაზრო ღირებულება 160 ათას ევროდ იყო შეფასებული. ამრიგად, უიშვიათესმა მონეტამ მუზეუმის კოლექციაში დაიკავა ადგილი და საგამოფენო დარბაზშია გამოტანილი. სპეციალისტებისთვის სულ 50 ასეთი მონეტაა ცნობილი, რომლებზეც კარლოს დიდის გამოსახულება რომის IV საუკუნის იმპერატორ კონსტანტინე I დიდის სტილშია გამოსახული.

### ავტომობილის ნომრებმა მამაკაცს სიმდიდრე მოუტანა



ამერიკის მერილენდის შტატის მკვიდრმა, მეტსახელად მსხვილმა თევზმა, თავისი უმცროსი ძმის ავტომობილის ნომრების გამოყენებით შეავსო ლატარიის ბილეთი და ამან მას მოგება მოუტანა. მამაკაცმა ლატარიის რვა ბილეთი შეიძინა ზედიზედ რამდენიმე გათამაშებისთვის და მათში თავისი ძმის კუთვნილი ავტომობილის სარეგისტრაციო ნომრის ციფრები ჩაწერა. შედეგად მან 25 ათასი დოლარი მოიგო. ლატარიის გამარჯვებული ამტკიცებს, რომ მას რაიმე კონკრეტული გეგმა არ გააჩნია, თუ როგორ დახარჯავს მოგებულ თანხას. ის ჯერჯერობით ავტომობილის შეკეთებას და თანხის ნაწილის ხუთი ძმის და დისთვის განაწილებას აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შავი ლომი სამხრეთ აფრიკაში დაუმარცხებელია

ქართულმა ფრენჩაიზმა, შავმა ლომმა, „ქარის თასის“ მე-2 ტურში ელეფანტს პორტ-ელიზაბეთში 25:22 სძლია. ქართველებმა კარგი პირველი ტაიმი ჩაატარეს 17:3 დაწინაურდნენ, თუმცა შესვენების შემდეგ შეცდომები მოუმრავლდათ და მასპინძლებს სხვაობის შემცირების შანსი მისცეს.

პირველი 40 წუთი ქართველებმა კარგად ჩაატარეს. შავი ლომი უპირატესობას ფლობდა შერკინებაში, მრავალფეროვნად უტევდა და მეტოქეს ყველა კომპონენტში აღემატებოდა. ანგარიში მე-6 წუთზე გიორგი ბაბუნაშვილმა ჯარიმით გახსნა. 3 წუთში ლუკა ივანიშვილმა მეტოქეს ბურთი ხელიდან გამოსტაცა, კონტრშეტევა წამოიწყო, მას თემურ ჭიჭინაძე მიყვა, სისწრაფე აკრიფა და ლელოში შეფრინდა, გიორგი ბაბუნაშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა.

ელეფანტსმა მე-16 წუთზე ჯარიმა გაქვითა, მაგრამ, როგორც კი თამაში განახლდა, სანდრო მამამთავრიშვილმა პირველი ბურთი მოიპოვა, მირიან მოდებაძემ შეუტია, ოვალი ნიკო აფციაურს ოფლოუდით ამოუგდო, რომელმაც თითქმის 5-მეტრიანამდე ირბინა, იქ კი რაქიდან ბურთი ხაზში სწრაფად გავიდა და მიხეილ ბაბუნაშვილმა გრძელი პასის შემდეგ ლელო გაიტანა, გიორგი ბაბუნაშვილმა გარდასახა.

დარჩენილი დრო უქულო ბრძოლაში გაილია და შავი ლომი შესვენებაზე კომფორტული უპირატესობით გავიდა – 17:3.

მე-2 ტაიმის დასაწყისში გიორგი ბაბუნაშვილმა კარის წინ 25 მეტრიდან ჯარიმა გაიტანა 20:3. თუმცა მეტოქემ 55-ე წუთზე ლელო-გარდასახვით გვიპასუხა და სხვაობა 10 ქულამდე დაიყვანა. თამაში რომ განახლდა მამამთავრიშვილმა ბურთი კიდევ ერთხელ მოიპოვა, მოდებაძემ 2-ჯერ გაჭრა ხაზი და მისი პასით ჭიჭინაძემ დუბლი გაიფორმა. გარდასახვა არაზუსტი იყო.

თამაშის განახლებისთანავე უკვე სამხრეთ აფრიკელებმა მოიპოვეს პირველი ბურთი და სწრაფი ლელოთი გვიპასუხეს. დავით მოძღვრიშვილს 75-ე წუთზე მიეცა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ მისი დარტყმული არაზუსტი იყო. პასუხად, 78-ე წუთზე ელეფანტსმა მოლით ლელო გაიტანა, გარდასახვაც ზუსტი იყო და დასკვნით წუთებში დაძაბულობამ იმატა, მაგრამ შავმა ლომმა შეძლო თავის დაცვა და ტურნირზე მეორე გამარჯვების მოპოვება – 25:22.



ეს ქართული ფრენჩაიზის მე-2 მოგებაა „ქარის თასზე“. გუნდი ახლა შინ დაბრუნდება და სრული შემადგენლობით, 17 აპრილს რაგბი ევროპის სუპერ თასის ნახევარფინალში ესპანურ იბერიანზს „ავჭალაზე“ დაუხვდება, მერე ისევ სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრება და „ქარის თასის“ მე-3 მატჩში გრიფონს შეხვდება.

# ბათუმი საქართველოს თასის მფლობელია

**ქუთაისი–ბათუმი 69:73**
**(23:18, 17:19, 10:19, 19:17)**




საკალათბურთო კლუბი ბათუმი საქართველოს თასის მფლობელია. აჭარულმა კლუბმა თასის გათამაშების მოგება 19-წლიანი პაუზის შემდეგ მოახერხა. 2003 წელს, როცა აღნიშნული ტურნირი პირველად ჩატარდა, ტიტულის მფლობელი ბათუმის ბასკო გახდა.

ამ კლუბის სამართალმემკვიდრე დღევანდელი ბათუმი გახლავთ, რომელმაც საქართველოს თასი მას შემდეგ პირველად აღმართა. ბუბა ბერიშვილმა, რომელიც ზღვისპირულ კლუბში მთავარ მწვრთნელად სუპერლიგიდან დაქვეითებული მგზავრებიდან მივიდა, პირველივე სეზონში მნიშვნელოვანი ტიტული მოიგო. ბათუმელებმა თასის გათამაშების ოთხთა ფინალის სატიტულო მატჩში თასის მოქმედი მფლობელი ქუთაისი დაამარცხეს.

ქუთაისელებს ახლაც შეეძლოთ ტიტულის მოგება, თუმცა გადამწყვეტ მომენტში მოწოდების სიმაღლეზე ბათუმელები აღმოჩნდნენ, რომლებმაც გუნდური თამაშისა და ბრძოლის კლასიკური მაგალითი უჩვენეს. აჭარულმა გუნდმა მოახერხა იმ სტრესიდან გამოსვლა, რაც შეხვედრის დასაწყისში მიიღო. მატჩი ქუთაისელთა შტურმით და 15:0 გაქცევით დაიწყო. სანამ ბათუმელები შესაბამის და ეფექტურ სათამაშო ტაქტიკას შეარჩევდნენ ქუთაისელებმა ხელჩასაჭიდი ლიდერობის მოპოვება შეძლეს.

ბერიშვილმა პირველი წუთშესვენება აიღო, რის შემდეგაც ბათუმელებმა მოახერხეს პირველი ქულების ჩაგდება: შეხვედრის მე-5 წუთზე ეს საბა ლობჯანიძემ, პერიმეტრიდან მოახერხა.

ყველაზე დაძაბული ბოლო წუთები გამოდგა, მაგრამ იქამდე ბევრი რამ მოხდა. ქუთაისელებს სასტარტო ხუთეულის წევრი და ნახევარფინალის საუკეთესო მოთამაშე აკაკი დვალიშვილი შეხვედრის დაწყებიდან 4 წუთში გამოაკლდათ, რომელმაც ფეხი იტკინა და მოედანზე ვეღარ დაბრუნდა. დვალიშვილს, რომელიც საქართველოს ნაკრების კანდიდატადაც მოიაზრება, მინიმუმ 3 თვე გაუცდება. მის არყოფნაში მეტი სამოქმედო სივრცე მიეცა გიორგი კორსანტიას, რომელიც ქუთაისელთაგან საბოლოოდ ყველაზე შედეგიანი გახდა, მაგრამ, მთლიანობაში, დვალიშვილის გამოკლებამ იმერულ კლუბს ბევრი რამ დააკლო.

ბათუმელებმა ჩამორჩენის გაბათილება იწყეს და პირველი პერიოდის ბოლომდე დეფიციტი 5 ქულამდე შეამცირეს. მე-2 პერიოდი თანაბარი გამოდგა, ხოლო მესამედან ბათუმელებმა მოახერხეს ჯერ სათამაშო უპირატესობის, შემდეგ კი, ლიდერობის მოპოვება. საამისოდ მათ პერიმეტრზე ქუთაისელთა მსროლელების მაქსიმალური შეზღუდვა დაეხმარათ. მე-3 მეოთხედის მე-2 წუთზე ლობჯანიძის საჯარიმოების შემდეგ ბათუმი მატჩში პირველად დაწინაურდა – 41:40. ამას მალე სოსო გოგნაძის, ბექა ბექაურის და სპენსერ კოლინსის ქულები მოჰყვა და ზღვისპირული გუნდი 50:44 გალიდერდა, რის შემდეგაც უკვე ქუთაისელებმა დაიწყეს ჩამორჩენის გაბათილებაზე ზრუნვა.

ბათუმელებმა გაძლეს, გააზრებულად ითამაშეს და ის ბოლო შტურმი, რომელიც ქუთაისმა ბოლო წუთებზე მოაწყო და თამაშის გადარჩენასთანაც ახლოს იყო, წარმატებით მოიგერიეს. ქუთაისელთა გამოცდილმა კაპიტანმა, გიორგი ბარბაქაძემ, რომელიც მანამდე უქულოდ იყო, ბოლო წუთზე სამქულიანი ჩააგდო და იმერული კლუბის ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა – 69:71. იქვე ბარბაქაძემ დაცვაში ტაქტიკური ჯარიმა ბექაურზე აიღო, რამაც გაამართლა, რადგან ბათუმის ფორვარდმა საფინალო სირენამდე 11 წამით ადრე 2-ვე საჯარიმო ააცილა. ქუთაისელებს ფარიდან ასხლეტილი ბურთი რომ მოეხელთებინათ, შეტევისთვის ფრო რჩებოდათ, მაგრამ ბათუმელებს მხსნელად ლობჯანიძე მოევლინათ, რომელმაც თანაგუნდელის მე-2 აცილებული საჯარიმო მოხსნა. ახლა უკვე მასზე გახდა ჯარიმის აღება საჭირო და ლობჯანიძეს საჯარიმოს ხაზზე ხელი არ აჰკანკალებია, ორივე ჩააგდო და ბათუმი მიუწვდომელი გახდა – 69:73.

მატჩის შემდეგ გამართულ დაჯილდოებაზე ლობჯანიძე დამსახურებულად დასახელდა საუკეთესოდ, რომელსაც მვპ-ის პრიზი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, ვიქტორ სანიკიძემ გადასცა. სანიკიძემ და ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარემ, პაატა გურასპაულმა ბათუმელები თასის ფორმის მედლებით დააჯილდოვეს.

თასი კი სანიკიძემ და გურასპაულმა ბათუმელთა კაპიტან ლევან ელიაძეს გადასცეს.

# შედეგები

## 9 აპრილი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-მანჩესტერი ........ 1:0
არსენალი-ბრაიტონი ........ 1:2
საუთჰემპტონი-ჩელსი ........ 0:6
უოტფორდი-ლიდსი ........ 0:3
ასტონ ვილა-ტოტენჰემი ........ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 30 | 23 | 4 | 3 | 70-18 | 73 |
| 2.ლივერპული | 30 | 22 | 6 | 2 | 77-20 | 72 |
| 3.ჩელსი | 30 | 18 | 8 | 4 | 64-23 | 62 |
| 4.ტოტენჰემი | 31 | 18 | 3 | 10 | 56-37 | 57 |
| 5.არსენალი | 30 | 17 | 3 | 10 | 45-36 | 54 |
| 6.ვესტ ჰემი | 31 | 15 | 6 | 10 | 51-40 | 51 |
| 7.მანჩესტერი | 31 | 14 | 9 | 8 | 49-42 | 51 |
| 8.ვულვზი | 32 | 15 | 4 | 13 | 33-28 | 49 |
| 9.კრ.პალასი | 30 | 8 | 13 | 9 | 42-38 | 37 |
| 10.ლესტერი | 28 | 10 | 7 | 11 | 43-47 | 37 |
| 11.ბრაიტონი | 31 | 8 | 13 | 10 | 28-37 | 37 |
| 12.ასტონ ვილა | 31 | 11 | 3 | 17 | 42-46 | 36 |
| 13.საუთჰემპტონი | 31 | 8 | 12 | 11 | 37-52 | 36 |
| 14.ნიუკასლი | 31 | 8 | 10 | 13 | 34-54 | 34 |
| 15.ბრენტფორდი | 31 | 9 | 6 | 16 | 37-48 | 33 |
| 16.ლიდსი | 32 | 8 | 9 | 15 | 38-68 | 33 |
| 17.ევერტონი | 30 | 8 | 4 | 18 | 33-52 | 28 |
| 18.ბარნლი | 29 | 4 | 12 | 13 | 25-42 | 24 |
| 19.უოტფორდი | 31 | 6 | 4 | 21 | 29-60 | 22 |
| 20.ნორვიჩი | 30 | 4 | 6 | 20 | 18-63 | 18 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

შეფილდი-ბორნმუთი ........ 0:0
ბლექბერნი-ბლექპული ........ 1:1
ბრისტოლი-პიტერბრო ........ 1:1
ვესტ ბრომვიჩი-სტოკი ........ 1:3
მიდლსბრო-ჰალი ........ 0:1
მილუოლი-ბარნსლი ........ 4:1
ნოტინგემი-ბირმინგემი ........ 2:0
პრესტონი-ქპრ ........ 2:1
რედინგი-კარდიფი ........ 1:2
სუონსი-დერბი ........ 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-აუგსბურგი ........ 1:0
ვოლფსბურგი-არმინია ........ 4:0
ფიურტი-გლადბახი ........ 0:2
კიოლნი-მაინცი ........ 3:2
ჰერტა-უნიონი ........ 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 29 | 22 | 3 | 4 | 86-29 | 69 |
| 2.დორტმუნდი | 29 | 19 | 3 | 7 | 70-42 | 60 |
| 3.ლევერკუზენი | 28 | 15 | 6 | 7 | 68-42 | 51 |
| 4.ლაიფციგი | 28 | 14 | 6 | 8 | 61-31 | 48 |
| 5.ფრაიბურგი | 28 | 12 | 9 | 7 | 44-33 | 45 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 28 | 13 | 5 | 10 | 50-42 | 44 |
| 7.უნიონი | 29 | 12 | 8 | 9 | 38-39 | 44 |
| 8.კიოლნი | 29 | 11 | 10 | 8 | 41-43 | 43 |
| 9.აინტრახტი | 28 | 10 | 9 | 9 | 39-38 | 39 |
| 10.მაინცი | 29 | 11 | 5 | 13 | 43-36 | 38 |
| 11.გლადბახი | 29 | 10 | 7 | 12 | 41-52 | 37 |
| 12.ბოხუმი | 28 | 10 | 5 | 13 | 30-40 | 35 |
| 13.ვოლფსბურგი | 29 | 10 | 4 | 15 | 33-45 | 34 |
| 14.აუგსბურგი | 29 | 8 | 8 | 13 | 34-46 | 32 |
| 15.შტუტგარტი | 29 | 6 | 9 | 14 | 36-53 | 27 |
| 16.არმინია | 29 | 5 | 11 | 13 | 23-43 | 26 |
| 17.ჰერტა | 29 | 7 | 5 | 17 | 31-66 | 26 |
| 18.ფიურტი | 29 | 3 | 7 | 19 | 24-72 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზ.პაული-ვერდერი ........ 1:1
შალკე-ჰაიდენჰაიმი ........ 3:0
აუე-ჰანოვერი ........ 1:3
ნიურნბერგი-დარმშტადი ........ 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

კადისი-ბეტისი ........ 1:2
მალიორკა-ატლეტიკო ........ 1:0
ვილიარეალი-ბილბაო ........ 1:1
რეალი-ხეტაფე ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 31 | 22 | 6 | 3 | 63-26 | 72 |
| 2.სევილია | 31 | 16 | 12 | 3 | 44-22 | 60 |
| 3.ბარსელონა | 29 | 16 | 9 | 4 | 57-29 | 57 |
| 4.ატლეტიკო | 31 | 17 | 6 | 8 | 57-38 | 57 |
| 5.ბეტისი | 31 | 17 | 5 | 9 | 56-37 | 56 |
| 6.სოსიედადი | 30 | 14 | 9 | 7 | 30-29 | 51 |
| 7.ვილიარეალი | 31 | 12 | 10 | 9 | 49-30 | 46 |
| 8.ბილბაო | 31 | 11 | 12 | 8 | 36-30 | 45 |
| 9.ვალენსია | 30 | 10 | 11 | 9 | 42-43 | 41 |
| 10.ოსასუნა | 30 | 10 | 8 | 12 | 30-40 | 38 |
| 11.სელტა | 30 | 9 | 9 | 12 | 34-34 | 36 |
| 12.ესპანიოლი | 30 | 9 | 9 | 12 | 35-42 | 36 |
| 13.რაიო | 29 | 9 | 6 | 14 | 31-36 | 33 |
| 14.ხეტაფე | 31 | 7 | 11 | 13 | 28-35 | 32 |
| 15.ელჩე | 30 | 8 | 8 | 14 | 31-42 | 32 |
| 16.გრანადა | 31 | 6 | 11 | 14 | 35-52 | 29 |
| 17.მალიორკა | 31 | 7 | 8 | 16 | 27-50 | 29 |
| 18.კადისი | 31 | 5 | 13 | 13 | 26-43 | 28 |
| 19.ლევანტე | 30 | 4 | 10 | 16 | 33-58 | 22 |
| 20.ალავესი | 30 | 5 | 7 | 18 | 24-52 | 22 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სოსიედადი-ტენერიფე ........ 1:2
ალკორკონი-ხიხონი ........ 1:1
მალაგა-ვალიადოლიდი ........ 2:2
ლას პალმასი-ამორებიეტა ........ 1:0

**იტალია. სერია ა**

ემპოლი-სპეცია ........ 0:0
ინტერი-ვერონა ........ 2:0
კალიარი-იუვენტუსი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 31 | 20 | 7 | 4 | 56-29 | 67 |
| 2.ინტერი | 31 | 19 | 9 | 3 | 64-25 | 66 |
| 3.ნაპოლი | 31 | 20 | 6 | 5 | 56-23 | 66 |
| 4.იუვენტუსი | 32 | 18 | 8 | 6 | 49-28 | 62 |
| 5.რომა | 31 | 16 | 6 | 9 | 51-35 | 54 |
| 6.ლაციო | 31 | 15 | 7 | 9 | 60-46 | 52 |
| 7.ატალანტა | 30 | 14 | 9 | 7 | 52-34 | 51 |
| 8.ფიორენტინა | 30 | 15 | 5 | 10 | 49-38 | 50 |
| 9.ვერონა | 32 | 12 | 9 | 11 | 56-49 | 45 |
| 10.სასუოლო | 31 | 11 | 10 | 10 | 56-51 | 43 |
| 11.ტორინო | 30 | 10 | 8 | 12 | 35-30 | 38 |
| 12.ბოლონია | 30 | 9 | 7 | 14 | 32-44 | 34 |
| 13.ემპოლი | 32 | 8 | 10 | 14 | 41-56 | 34 |
| 14.უდინეზე | 29 | 7 | 12 | 10 | 41-47 | 33 |
| 15.სპეცია | 32 | 9 | 6 | 17 | 32-54 | 33 |
| 16.სამპდორია | 31 | 8 | 5 | 18 | 39-52 | 29 |
| 17.კალიარი | 32 | 5 | 10 | 17 | 30-61 | 25 |
| 18.ჯენოა | 31 | 2 | 16 | 13 | 23-48 | 22 |
| 19.ვენეცია | 30 | 5 | 7 | 18 | 25-55 | 22 |
| 20.სალერნიტანა | 29 | 3 | 7 | 19 | 22-66 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ალესანდრია-პორდენონე ........ 2:0
კომო-ჩიტადელა ........ 1:2
ლეჩე-სპალი ........ 1:0
ფროზინონე-კრემონეზე ........ 2:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

რეიმსი-რენი ........ 2:3
კლერმონი-პსჟ ........ 1:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 31 | 22 | 5 | 4 | 70-29 | 71 |
| 2.მარსელი | 30 | 16 | 8 | 6 | 49-29 | 56 |
| 3.რენი | 31 | 17 | 5 | 9 | 67-31 | 56 |
| 4.სტრასბური | 30 | 14 | 9 | 7 | 51-32 | 51 |
| 5.ნიცა | 30 | 15 | 7 | 8 | 40-24 | 51 |
| 6.მონაკო | 30 | 13 | 8 | 9 | 45-31 | 47 |
| 7.ლილი | 30 | 12 | 11 | 7 | 38-35 | 47 |
| 8.ნანტი | 30 | 13 | 6 | 11 | 39-33 | 45 |
| 9.ლიონი | 30 | 12 | 10 | 8 | 43-39 | 45 |
| 10.ლანსი | 30 | 12 | 8 | 10 | 45-40 | 44 |
| 11.მონპელიე | 30 | 12 | 5 | 13 | 44-42 | 41 |
| 12.ბრესტი | 30 | 10 | 8 | 12 | 38-44 | 38 |
| 13.რეიმსი | 31 | 8 | 12 | 11 | 34-35 | 36 |
| 14.ანჟე | 30 | 8 | 8 | 14 | 34-44 | 32 |
| 15.ტრუა | 30 | 8 | 8 | 14 | 28-42 | 32 |
| 16.ლორიანი | 31 | 7 | 10 | 14 | 31-50 | 31 |
| 17.კლერმონი | 31 | 7 | 7 | 17 | 31-60 | 28 |
| 18.სტ.ეტიენი | 31 | 6 | 9 | 16 | 33-61 | 27 |
| 19.მეცი | 30 | 4 | 11 | 15 | 27-54 | 23 |
| 20.ბორდო | 30 | 4 | 11 | 15 | 38-70 | 23 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

გენგამი-ტულუზა ........ 2:4
ამიენი-ბასტია ........ 0:0
აიაჩო-პო ........ 2:1
ლე ავრი-დიუნკერკი ........ 2:1
გრენობლი-კაენი ........ 0:2
კევიი-როდეზი ........ 2:0
ნიორი-ნიმი ........ 0:0
ოსერი-ვალანსიენი ........ 1:0
სოშო-ნანსი ........ 1:0

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

უტრეხტი-სიტარდი ........ 1:1
აიაქსი-სპარტა ........ 2:1
ნაიმეგენი-ტვენტე ........ 0:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირა-მარიტიმუ ........ 2:0
ბენფიკა-ბელენენსეში ........ 3:1
ბოავიშტა-აროუკა ........ 1:0
ტონდელა-სპორტინგი ........ 1:3

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ეუპენი-ოსტენდე ........ 0:2
ანტვერპენი-სერკლი ........ 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ლინცერი ........ 1:1
ტიროლი-ალტახი ........ 0:3
რიდი-ჰარტბერგი ........ 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-როსი ........ 0:1
დ.იუნაიტედი-დანდი ........ 2:2
ლივინგსტონი-მოზერველი ........ 2:2
სელტიკი-სტ.ჯონსონი ........ 7:0
ჰართსი-ჰიბერნიანი ........ 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაგუმრუქი-ქაშიმფაშა ........ 3:2
გიოზთეფე-ქაისერი ........ 1:2
რიზე-ქონია ........ 2:1
ბეშიქთაში-ალანია ........ 4:1
გაზიანთეპი-ტრაბზონი ........ 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვოლოსი-ლამია ........ 3:0
ოფი-აპოლონი ........ 1:2
ასტერასი-იონიკოსი ........ 2:3
პანეთოლიკოსი-ატრომიტოსი ........ 2:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

იანგ ბოიზი-ლოზანა ........ 2:2
გრასჰოპერსი-ლუცერნი ........ 2:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოჰემიანსი 1905-სლოვანი ........ 0:0
სიგმა-პლზენი ........ 1:1
სლოვაცკო-კარვინა ........ 3:1
ტეპლიცე-სპარტა ........ 0:3
პიასტი-ლეჩნა ........ 1:0
ლეხი-ლეგია ........ 1:1
ლეხია-ნეცეჩა ........ 2:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

კიშვარდა-მეზეკოვეშდი ........ 1:2
დირმოტი-პუშ.აკადემია ........ 1:1
ფერენცვაროში-დებრეცენი ........ 3:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

სუნდსვალდი-ჰამარბი ........ 1:5
დეგერფორსი-ჰეკენი ........ 1:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

ლილესტრიომი-ერვი ........ 4:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მდინარე ისრაელსა და პალესტინაში; 2. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიდა ფენა; 3. ტყუილი, მოგონილი ამბების გამავრცელებელი ადამიანი; 4. კუთხე საქართველოში; 7. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 8. ცნობილი იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ტენორი; 12. ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ფულადი გასამრჯელო; 14. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 17. ხელოვნების ქურუმის ტიტულის მფლობელი ქართველი კინომსახიობი მამაკაცი; 19. კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულოვანი სახელმწიფო; 20. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 5. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 6. ძველი რწმენისგან განდგომა; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 10. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 11. მინერალური წყალი იმერეთში; 13. ყველაზე დიდი მდინარე ევროპაში; 15. ტბა სამხრეთ საქართველოში; 18. ირლანდიელი მწერალი, რომან „ულისეს“ ავტორი; 21. პარფიუმერიულ საშუალებათა სახელწოდება ძველად საქართველოში; 22. ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაჟღენთილია წყალგაუვალი ნივთიერებით; 23. ქართული ძილისპირული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დეპორტი; 2. ბარი; 3. ჩარხი; 4. ორვილე; 6. რუზველტი; 9. დარიკო; 13. ჯორჯონე; 14. ფაიზერი; 15. უცნობი; 17. კანოე; 18. ტუნგი; 20. ბალი.

**თარაზულად:** 1. დუბლეტი; 5. ტიბრი; 7. პაუპერი; 8. პერიოდი; 10. ბრიზი; 11. ხავსი; 12. ცერული; 16. ჯალიტა; 17. კინტო; 13. რიწა; 21. ხოხობი; 22. ბოტეგა; 23. ჰიმენე; 24. ქიზიყი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყაზბეგი; 2. კორომი; 3. ფოლკნერი; 4. ჩეფერინი; 7. მარგალიტი; 8. ბუდეშური; 12. ნიშადური; 14. კადილაკი; 16. კობალტი; 17. ჰამლეტი; 19. გეთი; 20. ხაჭო.

**თარაზულად:** 5. კაპორეტო; 6. ოჩოპინტრე; 9. ცერერა; 10. მატანი; 11. ოდიში; 13. ჰიმნი; 15. ბაიერი; 18. ჯოული; 21. ყანდარელი; 22. ლებარდე; 23. მიამიტი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0749

ევრო — 3.3473

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0124

100 რუსული რუბლი — 3.8706

## ამინდის პროგნოზი 11 აპრილისათვის




## გიორგი მამარდაშვილი: „მინდა, ვალენსიის ისტორიაში ჩემი სახელი ჩავწერო“



ვალენსიის ქართველმა მეკარე გიორგი მამარდაშვილმა თავის გუნდსა და მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში და ეცდება, ამისთვის ძალები არ დაზოგოს, თუმცა სირთულეებიც, ბუნებრივია, იქნება:

– სირთულეებისთვის მზად ვარ, მაგრამ ვიცი, რომ კარგ ფორმაში ვარ და მინდა, ეს მომენტი დიდხანს გაგრძელდეს, რადგან შეცდომებს არავინ გაპატიებს. ვალენსიის კარის დაცვა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა.

## კარლო ანჩელოტი: „რეალი იდეალურ ფორმაშია“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ამჟამად რეალი საუკეთესო ფორმაშია და ყველა ტურნირის მოგება შეუძლია.

ანჩელოტის იმედი აქვს, რომ რეალის ფორმა სეზონის ბოლომდე გაგრძელდება:

– მომწონს ჩემი გუნდის თამაში და, თუ ასე გავაგრძელებთ, წინ აღარაფერი დაგვიდგება. მინდა, სეზონის ბოლოს გუნდთან ერთად ტრიუმფი ვიზეიმო.

## დანი ალვეში: „ხავისთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოა“



ბარსელონის ბრაზილიელმა მცველმა დანი ალვეშმა ხავიზე ისაუბრა და თქვა, რომ ის კარგი ადამიანია და თავის საქმეში შესანიშნავად ერკვევა:

– ხავიმ ყოველთვის იცის, შედეგს როგორ უნდა მიაღწიოს და მისთვის წინააღმდეგობები არ არსებობს. მასთან ერთად თამაში ძალიან სასიამოვნო იყო და, როგორც მწვრთნელი, ის ნამდვილი პროფესიონალია. მინდა, რომ ბარსელონაში დიდხანს დარჩეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ბიჭო, ვიაგრაზე რამე გსმენია?
– ეგ რა არის?
– რა და ღამეში ქალთან ორ-სამჯერ, რომ შეძლო...
– რა, დამამშვიდებელია?

●●●

ტელეფონის ზარი:
– ალო, ვანო სახლშია?
– არა, მან ჩვენი სამყარო დატოვა.
– რა, მოკვდა?
– არა, ინტერნეტში ჩაერთო!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
– ვის უნდა ჰგავდეს ბავშვი?
– რა თქმა უნდა, მამას...
– სულელო! მამას კი არა ქმარს!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:
– წვნიანი რამდენი დაგისხა?
– რამდენიც შენთვის დაისხი.
– ამდენის ჭამით გასკდები!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
– იცი, გუშინ ჩემი ქმარი გამოვიჭირე!
– რას მეუბნები?
– წარმოგიდგენია, სახლში ვბრუნდები და ის ნაძირალა ჩემი კატით თავის ნოუთბუქს აპრიალებდა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მუსიკოსი ალეკო კვაშალი გარდაიცვალა



მუსიკოსი ალეკო კვაშალი 61 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან მთელი ცხოვრება მუსიკას მიუძღვნა და მსმენელს კარგად ახსოვს ანსამბლებში „ნატვრის ხე“ „ივერია“.

ანსამბლ „ივერიის“ წევრ ნუგზარ კვაშალის უმცროსი ძმა გერმანიაში იმყოფებოდა. მას ოპერაცია ჩაუტარდა და ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თუმცა, მუსიკოსის მეგობრების თქმით, თრომბი მოწყდა და ალეკო კვაშალი გარდაიცვალა.

დათო ევგენიძე, კომპოზიტორი:

– გერმანიაში გაიკეთა ოპერაცია, რომელმაც კარგად ჩაიარა, თუმცა თრომბი მოწყდა და გარდაიცვალა. ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვიყავით.

## ლელა ვეფხვაძე ღირსების მედლით დაჯილდოვდა



9 აპრილის უსინათლო მომღერალი ლელა ვეფხვაძე საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ღირსების მედლით დააჯილდოვა.

ორბელიანების სასახლის ეზოში 9 აპრილთან დაკავშირებით მიღება გაიმართა. ლელა ვეფხვაძე სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის წარმოებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მტკიცე სამოქალაქო პოზიციისა და საზოგადოების პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისთვის ღირსების მედლით დააჯილდოვა.

პრეზიდენტმა ღირსების მედლით დააჯილდოვა ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის „შეფიცულთა რაზმის“ წევრი, 1925 წელს მეგობრების მიერ თავის 25-ე დაბადების დღეზე ღალატით მოკლული პოეტი მიხა ხელაშვილი.

– საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და სამშობლოსთვის თავგანწირვისთვის დაჯილდოვდა და სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ეროვნული გმირის წოდება პოეტ მიხა ხელაშვილს, – განუცხადა ორბელიანების სასახლის ეზოში შეკრებილ საზოგადოებას სალომე ზურაბიშვილმა.

## ლევან სონღულაშვილი: „ცხელი ომის პირობებში დასკვნის გამოტანა შეუძლებელია“



მიაჩნია მხატვარ ლევან სონღულაშვილს, თუმცა, მისი აზრით, დღეს ყველა, ვინც პუტინის ქმედებაში გამართლებას ეძებს თუ პოულობს, კოლექტიური პუტინია:

– სანამ ვარ ხელოვანი, იქამდე საქართველოს მოქალაქე ვარ და მიმაჩნია, რომ ყველა მოქალაქის სურვილია მშვიდობა, ვალდებულებაა ღირსების დაცვა-შენარჩუნება და მიზანი – დამოუკიდებლობის მოპოვება!

ხოლო ხელოვანებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა და ა.შ. არც ერთი იდეოლოგიური ნიშნით, არამედ თავისუფლად უნდა ვამხილოთ ბოროტება და სიბნელე, რომელიც ცალსახაა, რომელიც გვართმევს ინტელექტუალურ განვითარებას, სახელმწიფოებრიობასა და ღირსებას, რომელიც ლაჩრობასთან სვამს ტოლობის ნიშანს.

დესტრუქციული ქმედებაა, როცა ცხელი ომის პირობებში მსხვერპლისკენ გაიშვერ თითს და ცეცხლმოკიდებულ ადამიანზე გადაიტან პასუხისმგებლობას! როცა ვერდიქტი პროცესის დასრულებამდე გამოგაქვს, თანაც მსხვერპლის ჯინაზე, მტრის სასარგებლოდ... ეს, უზნეობასა და უმეცრებასთან ერთად, მორალური დანაშაულია! ცხელი ომის პირობებში დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, ისტორია შეაფასებს.

და მაინც, დღეს ყველა, ვინც პუტინის ქმედებაში გამართლებას ეძებს თუ პოულობს, კოლექტიური პუტინია, ფაშისტია! დღეს ვისაც ომი სურს, რუსეთია; ვინც ომს იწყებს – ეს პუტინია; ვინც შიშს თესავს – კოლექტიური პუტინი.

## შოთა იათაშვილის რომანი აზერბაიჯანულად ითარგმნა




პოეტისა და მწერლის შოთა იათაშვილის რომანი „დამწყები“ აზერბაიჯანულად ითარგმნა.

**ინფორმაცია ავტორმა თავად გაავრცელა:**

– ჩემი „დამწყები“ აზერბაიჯანულად. დიდი მადლობა ჩვენს ძვირფას მწერალთა სახლს, რომანის ქართულ გამომცემელს, გამომცემლობა პალიტრა ელს, რომელიც ბოლო წლებია, ჩემი გამომცემლობა გახდა და უკვე სამი წიგნია, რაც მათთან გავაკეთე, წიგნის მთარგმნელს, საოცარ ადამიანსა და ქართული ლიტერატურისთვის თავდაუზოგავად მშრომელ იმირ მემედლის და ჩვენს მეგობარს, არაჩვეულებრივ პოეტსა და გამომცემელს რასიმ გარაჯას, რომელიც ბევრს ზრუნავს თანამედროვე ქართული ლიტერატურის აზერბაიჯანში გამოცემაზე.

წიგნის ყდაზე ზვიად რატიანის მიერ დახატული ჩემი ძველი პორტრეტია გამოყენებული. ეს ჩემთვისაც მოულოდნელობა იყო. მე მგონი, ძალიან მოუხდა პერსონაჟის ხასიათს. ბევრი აზერბაიჯანელი მეგობარი მყავს და მიხარია, რომ მათ მიეცათ ამ ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი წიგნის წაკითხვის საშუალება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ნათია თოდუამ „მაგნოლიაზე“ კლიპი გადაიღო

გერმანული „ვოისის“ გამარჯვებულმა ქართველმა მომღერალმა ნათია თოდუამ სიმღერაზე „მაგნოლია“ ვიდეორგოლი გადაიღო.



ანა კალანდაძის ლექსზე სიმღერა ცინუკი დადიანმა შექმნა. სიმღერა არაერთმა მომღერალმა შეასრულა, თუმცა ნათია თოდუას გამორჩეულ ნამღერმა ათასობით მსმენელის მოწონება დაიმსახურა.

რეჟისორმა ზაზა ორაშვილმა ნათია თოდუასთვის კლიპი გადაიღო და შემოქმედებითმა ჯგუფმა უმაღლესი დონის ნამუშევრისთვის უამრავი მოწონება დაიმსახურა.

## დავით ფოცხიშვილის ფილმმა 2 უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა



ქორეოგრაფ დავით ფოცხიშვილის ქორეოგრაფიულმა ფილმმა „მისტერიამ“ 2 უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა:

– მივიღეთ დიპლომები ორი საერთაშორისო ფესტივალიდან. ჩვენმა ქორეოგრაფიულმა ფილმმა „მისტერიამ“ ორი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა ნომინაციაში საუკეთესო ქორეოგრაფია და საუკეთესო საცეკვაო ფილმი.

როგორც მოგვწერეს, გამარჯვებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება უნდა შემდგარიყო წელს კანის კინოთეატრში რივიერაზე და, სამწუხაროდ, შეჩერებულია. გვითხრეს, რომ ყველა სიახლეს შეგვატყობინებენ.

რაც შეეხება მეორე ფესტივალს, აქ მხოლოდ სელექციაში მოვხვდით. ფილმი მეტად წინ ვერ წავიდა, მაგრამ სელექციაც ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი პატივი და კიდევ ერთი გვირგვინია.

ველოდებით კიდევ 12 ფესტივალის შედეგს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემთან ერთად იმუშავა ფილმზე. ძალიან ბევრი ადამიანი უბრალოდ, ისე მგულშემატკივრობდა. არ ვიცი, როგორ გამოვხატო მათ მიმართ ჩემი ემოციები. მიყვარხართ! ყოველთვის ვეცდები, ჩემი შემოქმედება იყოს ხარისხიანი და ნაღდი.

მალე კიდევ ახალ მოკლემეტრაჟიან კინოპროექტებს დავცხებთ მე და ჩემი მეგობრები. დიდება უფალს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 11 აპრილისათვის

**ვერძი** – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ფრანგული იავნანა; 2. ქართული სპორტული რადიო; 3. ვულკანი ისლანდიაში; 4. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 6. ცნობილი ქართველი ძიუდოს მსაჯი; 9. დიდი სპორტული შეჯიბრება იახტებით, ნიჩბებიანი და მოტორიანი ნავებით; 13. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო; 14. მხარე ბელგიაში; 15. პორტუგალიური ღვინო; 17. ხელოვნური მარმარილო; 18. მეთექვსმეტე საუკუნის ცნობილი ქართველი ოქრომჭედელი; 20. ყაჩაღის ძველი სახელწოდება საქართველოში.

**თარაზულად:** 1. წმინდა ოქრო; 5. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი მამაკაცი; 7. ქართული ხალხური ცეკვა; 8. ცხარე გემოს ფრანგული ყველი; 11. ლეო დელიბის ოპერა; 10. კანიონი ხონის რაიონში; 12. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ; 16. ცნობილი ქართველი მეტალურგი, აკადემიკოსი; 17. ილეთი ჭიდაობაში; 19. დამუხტული ატომი; 21. გერმანელი ფილოსოფოსი; 22. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 23. მსოფლიოში უძველესი სპარსეთში მოჭრილი ოქროს მონეტა; 24. ანსამბლ „როლინგ სტოუნზის“ ლიდერი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*